ბიბლიოთეკა
თბილისი
735
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 24 იანვარი, 1941 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 4 (163) ფასი 30 კაპ.



ლ ე ნ ი ნ ი

ჩვიდმეტი წლის წინად, გორკაში, მოსკოვის მახლობლად, გარდაიცვალა მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი და მასწავლებელი, ბოლშევიკური პარტიის შემქმნელი **ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.** ღრმა მწუხარებამ მოიცვა საბჭოთა კავშირისა და ყველა ქვეყნის მშრომელთა მილიონები.

„მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი ლენინის სიკვდილის ამბავს შეხვდა, როგორც უმძიმეს დანაკლისს. ლენინის დაკრძალვის დღეს საერთაშორისო პროლეტარიატმა გამოაცხადა ყველა სამუშაოთა ხუთი წუთით შეჩერება. შეჩერდნენ რკინიგზები, შეჩერდა მუშაობა ქარხნებსა და ფაბრიკებში. მთელი მსოფლიოს მშრომელნი უღრმესი მწუხარებით მიაცილებდნენ საფლავამდე თავის მამასა და მასწავლებელს, საუკეთესო მეგობარს და დამცველს—ლენინს.

„ლენინის სიკვდილს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა უპასუხა კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვით ლენინური პარტიის ირგვლივ. ყოველმა შეგნებულმა მუშამ ამ გლოვის დღეებში აწონ-დაწონა თავისი დამოკიდებულება კომუნისტური პარტიისადმი, რომელიც ანხორციელებს ლენინის ანდერძს. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ათასობით და ათასობით შემოდიოდა უპარტიო მუშების განცხადებები თხოვნით — მიგვიღოთ ისინი პარტიაში“ („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი“. 1939 წ., გვ. 403).

1924 წელს, როცა **ლენინი** გარდაიცვალა, ამხანაგმა **სტალინმა** პარტიის სახელით დასდო დიადი ფიცი, რომ ბოლშევიკები თვალისჩინივით გაუფრთხილდებოდნენ და განახორციელებდნენ ლენინის ანდერძს. ეს ისტორიული ფიცი საბჭოთა კავშირის ხალხმა ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით, დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ განახორციელა. განვლილი ჩვიდმეტი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში უზარმაზარი ცვლილებები მოხდა. სტალინურმა კონსტიტუციამ, რომელიც ბრწყინვალე და სრული განხორციელებაა სტალინის ისტორიული ფიცისა, აღბეჭდა თავის ფურცლებზე სოციალიზმის უდიდესი გამარჯვებანი, აღბეჭდა საბჭოთა სახელმწიფოს აყვავება და განმტკიცება.

ეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი, რომელნიც ჩაწერილი არიან სტალინურ კონსტიტუციაში და რომელნიც დღითი-დღე უფრო მრავლდებიან, შესაძლებელი გახდნენ სწორედ **იმიტომ,** რომ ჩვენი პარტია ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ერთად-ერთი სწორი თეორიით — მარქსისტულ-ლენინური თეორიით. რევოლუციური აზრისა და საქმის ტიტანებმა-ლენინმა და სტალინმა გრანდიოზული ისტორიული ბრძოლების ეპოქაში დაიცვეს, განავითარეს და გაამდიდრეს მარქს-ენგელსის დიადი მოძღვრება, შექმნეს ახალი ტიპის პარტია, მარქსისტულ-ლენინური პარტია, რომელიც სათავეში ჩაუდგა მუშათა კლასს, დარაზმა ის და მოამზადა ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ეს ბრძოლა გამარჯვებით დააგვირგვინა. ამ დროიდან ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლების სათავეში სდგას მუშათა კლასი, რომელმაც მშრომელ გლეხობასთან ერთად დაიწყო ისტორიაში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს აშენება. ამ ისტორიულ ბრძოლებში ხალხს გზას უნათებდა გენიალური თეორია მარქსიზმ-ლენინიზმისა. „ენგელსის სიკვდილის შემდეგ უდიდესი თეორეტიკოსი ლენინი, ხოლო ლენინის შემდეგ — სტალინი და ლენინის სხვა მოწაფეები — იყვნენ ერთად-ერთი მარქსისტები, რომლებიც წინ სწევდნენ მარქსისტულ თეორიას და რომლებმაც გაამდიდრეს იგი ახალი გამოცდილებით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში“ („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი“, გვ. 538).

როგორც ლენინმა, ემყარებოდა რა იგი იმ პრინციპებს, რომლებიც მოგვცეს მარქსმა და ენგელსმა, განავითარა მარქსიზმი, ასევე სტალინმა გაამდიდრა და განავითარა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. სტალინი არის ლენინის საქმის გამგრძობი, სტალინი არის ლენინი დღეს. ამხანაგი სტალინი ლენინთან ხელიხელჩაკიდებული აშენებდა ბოლშევიკურ პარტიას, ლენინთან ერთად ხელმძღვანელობდა მუშათა კლასის ბრძოლას და გამარჯვებას ახალი ქვეყნის შესაქმნელად. ლენინის გარდაცვალების შემდეგ სტალინი ზრდიდა და ზრდის საბჭოთა პატრიოტების მრავალმილიონიან არმიას ლენინის ანდერძის მიხედვით. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს არჩევნების წინა დღეს დიდმა სტალინმა თავის სიტყვაში მოუწოდა ხალხის რჩეულებს, „რომ ისინი იყვნენ ისეთივე ნათელი და გამორკვეული მოღვაწეები, როგორც ლენინი; რომ ისინი იყვნენ ისეთივე უშიშარნი ბრძოლაში და შეუბრალებელნი ხალხის მტრების მიმართ, როგორიც იყო ლენინი; რომ ისინი იყვნენ თავისუფალნი ყოველგვარი პანიკისაგან, პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როდესაც საქმე გართულებას იწყებს და ჰორიზონტზე ისახება რაიმე საფრთხე, რომ ისინი იყვნენ ისევე თავისუფალნი პანიკის ყოველგვარი ნასახისაგან, როგორც თავისუფალი იყო ლენინი; რომ ისინი იყვნენ ისევე ბრძენნი და აუჩქარებელნი რთული საკითხების გადაჭრის დროს, სადაც საჭიროა ყოველმხრივი ორიენტაცია და ყველა პლუსისა და მინუსის ყოველმხრივ გათვალისწინება, როგორიც იყო ლენინი; რომ ისინი იყვნენ ისევე მართალნი და პატიოსანნი, როგორიც იყო ლენინი; რომ მათ ისევე უყვარდეთ თავისი ხალხი, როგორც უყვარდა იგი ლენინს“.

ლენინური გზით, სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა შევიდა სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანი გადასვლის პერიოდში. დიად სტალინურ ხუთწლედებში, სტალინურ მოძღვრებაში სოციალისტურ სახელმწიფოს როლისა და ფუნქციების შესახებ, წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებში, საბჭოთა ხალხების ბედნიერ და თავისუფალ ცხოვრებაში სცოცხლობს ლენინის სახელი და საქმე. საბჭოთა ხალხი ლენინ-სტალინის პარტიის მეთაურობით ყოველწლიურად, ყოველდღიურად აღწევს ახალ წარმატებებს, აძლიერებს თავის სამშობლოს, რომელსაც გასულ წელს ხუთი ახალი მოძმე რესპუბლიკა შეემატა.

სოციალიზმის დიად მონაპოვარს, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის, საკოლმეურნეო გლეხობის და ინტელიგენციის თავისუფალ შრომას იცავს ჩვენი წითელი არმია, წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომელიც შექმნეს და განამტკიცეს ლენინმა და სტალინმა. საბჭოთა ხალხი, რომელსაც ახსოვს დიდი სტალინის მითითება, ერთი წუთითაც არ ივიწყებს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ კაპიტალისტურ გარემოცვაში. ამიტომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები აძლიერებენ სიფხიზლეს, განუწყვეტლად ზრუნავენ უფრო მეტად განამტკიცონ ჩვენი სამშობლოს თავდაცვის უნარიანობა

საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრება, რომელსაც იმედით და სიყვარულით შესცქერიან მთელი მსოფლიოს მშრომელნი, არის ლენინიზმის ტრიუმფი, ლენინ-სტალინის დიადი იდეების ბრწყინვალე განხორციელება.

ლენინის საქმემ გაიმარჯვა საბჭოთა კავშირში, ის გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში!

მოსკოვი, კრემლი

ხალხთა დიდ ბელადს— ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ქ. თბილისის პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აქტივის კრება, რომელიც ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა მონაწილეობით შესდგა და რომელიც ვლადიმერ ილიას-ძე **ლენინის** ხსოვნას მიეძღვნა, მხურვალე, უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით აღსავსე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, ლენინის უკვდავი საქმის გენიალურ განმგრძობს, ხალხთა დიდ ბელადს.

ჩვიდმეტი წლის წინათ, როდესაც ულმობელმა სიკვდილმა ვლადიმერ ილიას-ძე **ლენინის** სიცოცხლე შესწყვიტა, თქვენ, ამხანაგო **სტალინ,** რომელიც **ლენინთან** ხელიხელჩაკიდებული აშენებდით ბოლშევიკების პარტიას და **ლენინთან** ერთად ხელმძღვანელობდით მუშათა კლასის ბრძოლასა და გამარჯვებას ოქტომბრის ბარიკადებსა და სამოქალაქო ომის ფრონტებზე, მტკიცე ხელით აიღეთ დიდებით მოსილი დროშა მარქსიზმ-ლენინიზმისა და წაიყვანეთ ჩვენი ქვეყანა **ლენინის** მიერ ნაანდერძევი გზით.

დიდი **ლენინის** კუბოსთან მთელი მსოფლიოს წინაშე თქვენ დადეთ ლენინის უკვდავი ანდერძის შესრულებისათვის ბრძოლის ისტორიული ფიცი.

ეს ფიცი, დიადი სტალინური ფიცი, — წმინდად შესრულდა.

სიამაყით ვავლებთ რა თვალს განვლილ გზას, ჩვენ ვხედავთ: ლენინის წინადასახულობანი განხორციელებულია.

უკვდავი ლენინური გენია ცოცხლობს მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის საგმირო საქმეებში, სოციალიზმის უდიდეს გამარჯვებაში, რაც მიღწეულია **სტალინის** ხელმძღვანელობით.

ლენინი უკვდავყოფილია გამარჯვებული სოციალიზმის სტალინურ კონსტიტუციაში.

ლენინი სცოცხლობს ბოლშევიკურ პარტიაში, მთელი მსოფლიოს მშრომელთა გულში.

ლენინი სცოცხლობს ბრძნულ სტალინურ ხელმძღვანელობაში, რომელსაც ჩვენ ერთი გამარჯვებიდან მეორე გამარჯვებისაკენ მივყევართ.

სტალინი დღევანდელი **ლენინია!**

ლენინის სახელით, **სტალინის** სახელით აღფრთოვანებული საბჭოთა პატრიოტები დიად საქმეებს აკეთებენ არქტიკის ყინულოვან სივრცეებში, ფერგანის მცხუნვარე მზის ქვეშ, საქართველოს სუბტროპიკებში — ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა კუთხეში, ფაბრიკებში, ქარხნებში, შახტებში, სამეცნიერო ლაბორატორიებში, სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე, თავდაცვის ყველა უბანზე.

ლენინის გარდაცვალების დღიდან განვლილი მეჩვიდმეტე წელი იყო ლენინურ-სტალინური იდეების ახალი გამარჯვების წელი, ლენინის ანდერძის შემდგომი განხორციელების წელი.

კიდევ უფრო გაძლიერდა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს სამეურნეო და სამხედრო ძლევამოსილება.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრულ ოჯახში შევიდნენ ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის ხალხები.

კაპიტალისტური სამყარო იძულებული გახდა უკან დაწეულიყო. საბჭოთა კავშირი კიდევ უფრო მძლავრი და დიდი ქვეყანა გახდა.

ლენინის საქმემ გაიმარჯვა სსრ კავშირში. იგი გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში.

სიტყვას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო **სტალინ,** რომ, დაეუფლებით მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას და კიდევ უფრო მეტი ენერგიით ვიბრძოლებთ ახალი სოციალისტური გამარჯვებისათვის. მთელს ჩვენს მუშაობაში ყოველთვის წინ გვედგომება უკვდავი **ლენინის** — მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის სახე.

სიტყვას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო **სტალინ,** რომ თბილისის — საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის — მშრომელები საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციისათვის მზადებას ახალი სახელოვანი საწარმოო წარმატებებით აღნიშნავენ, კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან ბრძოლას მესამე სტალინური ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად.

გაუმარჯოს ლენინიზმს!

გაუმარჯოს **ლენინის** საქმის გენიალურ განმგრძობს — ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს, საყვარელ მშობლიურ **სტალინს!**

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XVII წლისთავისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო კრება რუსთაველის სახელობის თეატრში

21 იანვარს რუსთაველის სახელობის თეატრში ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა მონაწილეობით შესდგა თბილისის პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აქტივის კრება, რომელიც **ვ. ი. ლენინის** გარდაცვალების XVII წლისთავს მიეძღვნა.

...ფარდა აიხადა. სცენის სიღრმეში წითელი დროშების ფონზე მოსჩანს ვ. ი. ლენინის ძეგლის გამოხატულება. მარცხნივ აღმართულია მთელი პროგრესიული კაცობრიობის ბელადის — დიდი სტალინის ფიგურა, მარჯვნივ— ამხანაგ ლ. პ. ბერიას ბიუსტი.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XVII წლისთავისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, კ. შეროზია, ფ. მახარაძე, მ. ეფრემოვი, გ. სტურუა, ს. იშხანოვი, ა. მირცხულავა, ი. დორონინი, ს. ხოშტარია, ი. კოჭლამაზაშვილი, ე. ჩერქეზია, ა. კვაჭაძე, მ. ჩუბინიძე, გ. გოჩაშვილი, ვ. სიხარულიძე, ვ. გარსევანიძე, ნ. გალუსტოვი, დ. ხანთაძე, კ. ზავრიევი, მ. ჭიაურელი, ა. ვასაძე და სხვები.

აქტივის კრება გახსნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ, ამხ. ი. კოჭლამაზაშვილმა.

დამსწრეთ ფეხზე ადგომით სცეს პატივი ვლადიმერ ილიას-ძე **ლენინის** ხსოვნას. საზეიმო წუთს სამგლოვიარო მარშის ხმა გაისმის.

მქუხარე ხანგრძლივი ოვაციით მიღებულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივნის, ამხ. მ. ჩუბინიძის წინადადება იმის შესახებ, რომ კრების საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნას **ლენინის** უკვდავი საქმის გენიალური განმგრძობი — ამხანაგი **სტალინი.** საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ოვაციით არჩეული არიან აგრეთვე ამხანაგები: **ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, მ. ი. კალინინი ა. ა. ანდრეევი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ჟდანოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. პ. ბერია და ნ. მ. შვერნიკი.**

შინაარსიანი მოხსენებით თემაზე — „17 წელი ულენინოდ, ლენინური გზით, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით“ გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. შეროზია.

კრების მონაწილეებმა მქუხარე ოვაციით მიიღეს ტექსტი მისასალმებელი დეპეშისა ბრძენი ბელადის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებლისა და მეგობრის — მშობლიური **სტალინისადმი.**

○

კრების დამთავრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს თბილისის საუკეთესო არტისტებმა. (საქდესი).

ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო მწერალთა კლუბში

21 იანვარს მწერალთა კლუბში შესდგა **ლენინის** ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის პასუხისმგებელმა მდივანმა **ირაკლი აბაშიძემ.**

მოხსენება „17 წელი ულენინოდ, ლენინური გზით, სტალინის ხელმძღვანელობით“ გააკეთა **შალვა რადიანმა.**

თემაზე — „ლენინი და ხელოვნება“ სიტყვა წარმოსთქვა **ბესარიონ ჟღენტმა.**

დემნა შენგელაიამ წაიკითხა ნაწყვეტი თავისი მოთხრობიდან „ფიცი“. საქართველოს სახალხო პოეტმა **გალაკტიონ ტაბიძემ** წაიკითხა ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ახალი ლექსი. **სანდრო ეულმა** წაიკითხა ლექსი „ლენინის დროშით“, **ი. გრიშაშვილმა** წაიკითხა ახალი ლექსი „ბერიას მოედანი“.

ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მხატვრული გამოფენა

კარლ მარქსის სახელობის თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში მოწყობილია **ლენინის** ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მხატვრული გამოფენა.

გამოფენაზე მდიდრად არის წარმოდგენილი ვლადიმერ ილიჩის შრომები, ბიბლიოგრაფიული მასალა, ამონაწერები მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებებიდან და ფოტოილუსტრაცია.

გამოფენა შესდგება ხუთი განყოფილებისაგან: პირველ განყოფილებაში მოთავსებულია მასალა თემაზე „ლენინი — მარქსის და ენგელსის მოძღვრების და საქმის გენიალური გამგრძელებელი“. მეორე განყოფილება შეიცავს მასალას თემაზე — „სტალინი — ლენინის საქმის უდიდესი გამგრძელებელი“. მესამე განყოფილებაში მოთავსებულია მემუარული მასალა ლენინზე; მეოთხე განყოფილების თემა—„ლენინი მხატვრულ ლიტერატურაში“; მეხუთე განყოფილებაში გამოფენილია ლენინის ნაწარმოებები, გამოცემული სსრ კავშირის ხალხთა ენებზე და უცხო ენებზე.

ლენინის სახე საქართველოს თეატრალურ ხელოვნებაში

საქართველოს სახელმწიფო თეატრალურ მუზეუმში გაიხსნა გამოფენა „ლენინის სახე საქართველოს თეატრალურ ხელოვნებაში“.

გამოფენაზე ოთხასამდე ექსპონატია წარმოდგენილი: მსახიობთა ჩანაწერები, ფოტო-დოკუმენტები, დადგმათა მაკეტები, მხატვართა სურათები. ამ ექსპონატებიდან ნათლად სჩანს თუ რა დიდი შემოქმედებითი აღმავლობით შეუდგნენ კინოსა და თეატრის მსახიობები საყვარელი სახის შექმნას. აქ მოთხრობილია რეჟისორების, მსახიობების, მხატვრების ლაბორატორიულ მუშაობაზე; და აგრეთვე მაყურებელზე, რომელმაც დიდათ შეაფასა ხელოვნების ოსტატთა ეს ნამუშევარი.

გამოფენის პირველი განყოფილება მიძღვნილია ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** წიგნისადმი „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. ამ შესანიშნავმა წიგნმა და ამხანაგ **ბერიას პირადმა** მითითებებმა საქართველოს ხელოვნების ოსტატებს ხელი შეუწყვეს დიდის აღფრთოვანებით შესდგომოდნენ **ლენინისა და სტალინის** სახეების მხატვრულ განსახიერებას.

გამოფენა ზუსტად უჩვენებს თუ როგორ დაიწყო და მიმდინარეობდა ეს საპასუხისმგებლო მუშაობა. პირველად დაიდგა შ. დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან“. ეს პიესა დასდგა რუსთაველის სახელობის თეატრმა, მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა, ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრმა. მ. ჭიაურელის ხელმძღვანელობით არსებულმა თეატრმა. ნ. პოგოდინის პიესა „თოფიანი კაცი“ დასდგეს რუსთაველის სახელობის და გრიბოედოვის სახელობის თეატრებმა და სხვ.

გამოფენაზე მოცემული მასალა ნათელ წარმოდგენას იძლევა მსახიობებზე, რომელთაც საქართველოს თეატრებსა და კინოში განასახიერეს **ლენინის** დიადი სახე. ესენი არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ვასაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები: დ. მჟავია, შ. გომელაური და კ. მიუფკე, სომხეთის სსრ სახალხო არტისტი ი. ალიხანიანი, მსახიობები მ. სვანიძე (ქუთაისის თეატრი) და ვ. გერსამია(მ. ჭიაურელის ხელმძღვანელობით არსებული თეატრი).

ლენინის მავზოლეუმში

ვასო გორგაძე

სახეს მიკაწრავს ცივი ქარი. თოვს. გამჭვირვალე
თეთრი ჩუქურთმით ხეებს ქარგავს თოვლის ფანტელი.
მავზოლეუმის ამართულა თაღი ბრწყინვალე
და ლალისფერი მარმარილოს ელავს კანდელი.

იღება კარი. დარბაზისკენ კიბეს მივყავარ —
ფიქრით მოცული, მწუხარებით გარინდებული.
უცებ ვჩერდები. თითქოს მწუხრის სარკმელთან ვდგავარ:
შავად ენთება ცა—ნისლებით დამძიმებული.

აი, ეს შუბლი, უდიადეს აზრთა მჭედელი,
ახალი ქვეყნის მესაჭეა, დიდი სარდალი,
მასში ჩქეფს სიბრძნის ოკეანე დაუშრეტელი
და არასოდეს არ ჩაჰქრება ეს ჩირაღდანი!

გულის სიღრმეში მე ამ სახეს თრთოლვით ვუნახავ,
იგი დროშაა მილიონთა, ფიქრთა მფლობელი.
სად არ ვყოფილვარ მასთან ერთად, სად არ მინახავს
ვით განუყრელი მეგობარი და ახლობელი!

ახლაც, მგონია, თითქოს იგი სდგას სავარძელთან,
ფიქრში გაერთო, მაგიდისკენ თავი დახარა,
თითქოს ტატნობზე მზე ცხრათვალა წუთით გაჩერდა:
წყნარი ღიმილი და სხივები გადმომაყარა.

ო, რა სიბრძნეა მის თვალებში ღრმა, საოცარი.
განა სიკვდილის ცივი ხელი იმას მიწვდება?
დამკვიდრებულა ხალხის გულში მარად ცოცხალი,
ახალ ბრძოლებში გრიგალივით წინ მიგვიძღვება!

მაგრამ არ მინდა მოსვენებულს შევუკრთო ძილი,
ვემშვიდობები, ვით ღვიძლ მამას, კრძალვით შევყურებ.
ვგრძნობ, ძვირფას ილიჩს მე მაშორებს ნაბიჯი ფრთხილი
და ისევ მაღლა ამოვყავარ ქვის საფეხურებს.

ვნახე ილიჩი — ზღვა სინათლე, ვუხილე ბრძენი.
ვარდის კონებად გაიფურჩქნა ნატვრა ფარული.
ვნახე ილიჩი საყვარელი, და მე ვიგრძენი:
გონების ძალა, გულის სითბო და სიყვარული.

◆

„დაისი" ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის თეატრში

ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში (მოსკოვში) გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის" დადგმისათვის.

ოპერას სდგამს ბელორუსიის სსრ დამსახურებული არტისტი ზლატოგოროვი. დეკორაციები მზადდება ორდენოსანი მხატვრის დიმიტრიევის ესკიზების მიხედვით. ოპერას დირიჟორობს რსფსრ დამსახურებული არტისტი აკულოვი. ცეკვებს სდგამს ბალეტმეისტერი სოხაშვილი.

ოპერის ლიბრეტო რუსულ ენაზე თარგმნილია მ. კვალიაშვილისა და რ. ივნევის მიერ.

მთელი მუშაობა სპექტაკლზე სწარმოებს სსრ კავშირის სახალხო არტისტის ნემიროვიჩ-დანჩენკოს უშუალო ხელმძღვანელობით. ოპერა შეტანილია მომავალი სეზონის რეპერტუარში.

ოპერა „სამშობლოს" პრემიერა

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში 25 და 26 იანვარს შესდგება კომპოზიტორ იონა ტუსკიას ახალი ქართული ოპერა „სამშობლოს" პირველი სპექტაკლები.

ოპერა დადგმულია რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. წუწუნავას მიერ; ოპერას დირიჟორობს შ. აზმაიფარაშვილი, დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები ეკუთვნის ვ. სიდამონ-ერისთავს. ცეკვები დადგმულია დ. ჯავრიშვილის მიერ.

პავლო ტიჩინა

ს. ჩარგიანი

საბჭოთა უკრაინის საზოგადოებრიობა ზეიმით აღნიშნავს თავისი საუკეთესო პოეტის, აკადემიკოს პავლო ტიჩინას დაბადების ორმოცდაათი წლისთავს. პავლო ტიჩინას უაღრესად თავისებური და დიდი ადგილი უჭირავს თანამედროვე უკრაინულ პოეზიაში. მან განვლო შემოქმედებითი განვითარების რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა. დღეს იგი დიადი სტალინური ეპოქის ბრწყინვალე მომღერალია.

პავლო ტიჩინა დაიბადა ჩერნიგოვშჩინაში, სოფლის მედავითნის ოჯახში, 1891 წელს. თებერვლის რევოლუციის პერიოდში დაასრულა მან კიევის საკომერციო ინსტიტუტი.

ინტერესი და სიყვარული ლიტერატურისადმი პ. ტიჩინამ ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა. პირველი მისი ლექსი დაიბეჭდა 1912 წელს ჟურნალ „რიდნი კრაიში". ტიჩინას პოეტური და რევოლუციური შეგნების ჩამოყალიბებაზე თვალსაჩინო გავლენა იქონია ცნობილმა უკრაინელმა მწერალმა კოცუბინსკიმ, რომელთანაც მას რამდენიმე წლის მანძილზე უახლოესი მეგობრობა ჰქონდა. ლექსების პირველი კრებული ტიჩინამ გამოაქვეყნა 1918 წელს, რომელსაც შემდეგ ზედიზედ რამდენიმე კრებული მოჰყვა.

ამ კრებულებში მოთავსებული ლექსების სტილობრივი თავისებურებით პავლო ტიჩინა უკავშირდებოდა სიმბოლიზმს, თუმცა მისთვის უცხო იყო ამ უკანასკნელის მისტიციზმი და ეროტიკა. ტიჩინას ამ პერიოდის ლექსებში გამომჟღავნებულია მუსიკალობა და რიტმიული მრავალფეროვანება, რითაც იგი ძალიან უახლოვდება ალექსანდრე ბლოკს.

პავლო ტიჩინას პირველი ლექსების თემატიური რკალი შეიცავდა პოეტურ საუბარს სიყვარულისა და ბუნების, სევდისა და გულგატეხილობის, ახალგაზრდობისა და ომების შესახებ.

პავლო ტიჩინამ რომანტიულად აითვისა და მიიღო სოციალისტური რევოლუცია. იგი შეუნელებელი ინტერესით სწავლობდა ამ დიად სახალხო მოძრაობას, ცდილობდა გაეგო მისი აზრი და ხასიათი. სამოქალაქო ომის სიმკაცრე ზოგჯერ კიდეც აშინებდა პოეტს, მაგრამ არ აშორებდა, არ აპირისპირებდა რევოლუციური მოძრაობის განვითარებასთან.

პავლო ტიჩინას შემოქმედებაში შესამჩნევი ხდება ინტერესის თანდათანი ზრდა სოციალური სინამდვილის დამახასიათებელი მოვლენების გამოხატვისადმი. ეს მოტივები ნაწილობრივ არის გამოხატული კრებულში „გუთანი". ამ კრებულის ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილი ამტკიცებდა პოეტის ცდას გულწრფელად აეთვისებინა რევოლუცია თავისი დამახასიათებელი მოვლენებით. ამავე დროს ეს კრებული ამტკიცებდა პოეტის ბრძოლას — განთავისუფლებულიყო სიმბოლიზმისაგან და განმტკიცებულიყო რეალიზმის პოზიციებზე. თუ ტიჩინას ერთ-ერთი პირველი ლექსი „გუთანი" წარმოადგენდა რევოლუციური სტიქიის აბსტრაქციულ სიმბოლიზაციას, სამაგიეროდ ისეთი ლექსები, როგორიცაა „მოედანზე", „როგორ ჩამოვარდა მებრძოლი ცხენიდან" „რონდელი" და სხვა, რევოლუციურ სინამდვილეს მეტის კონკრეტულობით გამოხატავდნენ, მათში პოეტი უმღერდა პარტიზანებს, მათ გმირულ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის. ლექსში „ქვეყნიერების შექმნა" ტიჩინამ გვაჩვენა ქვეყნიერების გაყოფა ორ სამყაროდ — სამყარო კაპიტალისტებისა და სამყარო მშრომელი ხალხისა. პოეტი მოუწოდებდა მასას — „კულაკობისათვის გაგვეგზავნა არა მისალმებები, არამედ ტყვიები შუბლში". რევოლუციურმა მოტივებმა უფრო ფართო და ღრმა გამოხატულება ჰპოვეს 1924 წელს გამოცემულ კრებულში — „ქარი უკრაინიდან". ამ კრებულში მოთავსებულ ლექსებში „ქარი უკრაინიდან", „იაროსლავნას ტირილი", „კოჟუმიაკა", „სამი შვილი", „აჯანყებულნი" ტიჩინა ამუშავებს თემას მშრომელთა ბრძოლისას ფეოდალების, პანებისა და მდიდრების წინააღმდეგ. რამდენიმე ლექსით იგი მძაფრად ილაშქრებს კონტრრევოლუციის — დენიკინის, სკოროპადსკის, პეტლიურასა და მახნოს წინააღმდეგ, ამხელს მათ, როგორც ხალხისა და სამშობლოს დაუძინებელ მტრებს.

კრებულში „ქარი უკრაინიდან" პავლო ტიჩინა ახლებურად ფიქრობს მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სიხარულსა და სილამაზეზე. ლექსში „მოდის ზაფხული" პოეტი უმღერის მშრომელი გლეხის ოცნებას, რომელიც სინამდვილედ იქცა კოლექტივიზაციის პერიოდში. ამ თემამ უფრო ღრმა გამოხატულება ჰპოვა ციკლში ლექსები პროზად — „ვცხოვრობთ კოლექტიურად", სადაც პოეტმა დიდი პათოსით გამოხატა კოლმეურნეთა სახელი და სასიხარულო შრომა, ადამიანთა გარდაქმნა, მათი ბრძოლა მტრებთან. პოეტი დარწმუნებულია, რომ თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება მოიპოვება მხოლოდ ბრძოლით და მსხვერპლის გაღებით. ეხლა მას სიკვდილი აღარ აშინებს. უჩვეულო ენტუზიაზმით უმღერის იგი მებრძოლთ, რომელნიც გმირულად იბრძვიან ხალხისათვის, უმღერის ახალგაზრდობას — სიცოცხლის ძალას და აღფრთოვანებას.

1931-1934 წლებში გამოქვეყნებულ კრებულებში „ჩერნიგოვი" და „პარტიას მივყევართ" პავლო ტიჩინა იდეურად და მხატვრულად უფრო გაიზარდა და განმტკიცდა. ამ კრებულებში ტიჩინა გამოდის მთლიანად როგორც საზოგადოებრივი ინტერესებით გამსჭვალული შემოქმედი, როგორც პოლიტიკური ლირიკოსი და სატირიკოსი, როგორც თავდადებული პატრიოტი. ტიჩინა უმღერის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას და კოლექტივიზაციას, პარტიას და კომკავშირს, სტალინური ხუთწლედების გმირ ადამიანებს, სახელოვან წითელ არმიას და სოციალისტური სამშობლოს უძლეველობას. ამავე დროს იგი სარკასტიულად დასცინის დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიას.

კრებულში „ჩერნიგოვი" ტიჩინას აინტერესებს არა მარტო სოციალიზმის ძლევამოსილი წარმატება ჩვენს ქვეყანაში, არამედ დასავლეთის ქვეყნების მასებში რევოლუციური შეგნების ზრდაც. კრიზისი, გაჭირვება კაპიტალისტურ ქვეყნებში, კულტურის დაცემა დასავლეთ ევროპაში გახდა ტიჩინას მრავალი პოლიტიკური ლექსის თემად. პოეტი დარწმუნებულია, რომ „კორდინები შეიცვლებიან", რომ მთელი ქვეყნიერება გარდაიქმნება ახლებურად. თუ კრებულში „ჩერნიგოვი" ტიჩინა ჯერ კიდევ ხასიათდება ერთგვარი აბსტრაქტული მიდგომით თემებისადმი, სამაგიეროდ კრებულში „პარტიას მივყევართ", იგი დიდის კონკრეტულობით სწერს სოციალიზმის ეპოქის ახალ ადამიანებზე, შესანიშნავი ბოლშევიკის კიროვის შესახებ, რევოლუციის საქმისათვის მებრძოლებზე, ჩვენი ქვეყნის გამარჯვებასა და წინსვლაზე, კომკავშირზე და წითელ არმიაზე.

დიდია პავლო ტიჩინას, როგორც სიტყვის ოსტატის, ადგილი უკრაინული პოეზიის განვითარებაში. იგი ამ მხრივ უდავო ნოვატორია. მისი ლექსები უაღრესად მუსიკალურია, რიტმიულად მოქნილი და მრავალფეროვანი, ინტონაციური ნიუანსებით მდიდარი. იგი ყოველ ახალ ლექსში განუმეორებელ სახეებს და პოეტური გამოსახვის სხვა მხარეებს იძლევა. მრავალი მისი ლექსი მთლიანად მუსიკალურ პიესას წარმოადგენს. მის ლექსებს ახასიათებენ მდიდარი ასონანსები და ალიტერაციები.

განთავისუფლდა რა სიმბოლისტური პოეტიკის ტყვეობისაგან, პავლო ტიჩინა უფრო და უფრო მეტად ითვისებს და იყენებს ხალხური შემოქმედების ხერხებს, რამაც მის ლექსებს რეალისტური გამოსახულება მისცა. თუ ცალკეულ მის ადრინდელ ლექსებში ჯერ კიდევ შესამჩნევი იყო ხალხური შემოქმედების ნიმუშების ერთგვარი სტილიზაცია, სამაგიეროდ უკანასკნელ ლექსებში ტიჩინა უფრო მეტად, უფრო ორგანიულად იმსჭვალება უკრაინული ფოლკლორის ბუნებით. ხალხური, რეალისტური ნაკადი თანდათან იზრდებოდა მის ლექსში, რაც მთელი სიძლიერით გამომჟღავნდა განსაკუთრებით კრებულში „პარტიას მივყევართ". მაგრამ იგი არ ახდენს ხალხური შემოქმედების იმიტირებას, იგი ბუნებრივად ითვისებს, იყენებს მას.

ასეთია ამ შესანიშნავი შემოქმედის პოეტური სახე.

დიდი შემოქმედებითი მიღწევებისათვის პავლო ტიჩინა დაჯილდოვებულია **ლენინის** ორდენით. 1937 წელს იგი არჩეულ იქნა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1938 წელს უკრაინის უმაღლეს საბჭოს დეპუტატად.

პავლო ტიჩინას პოეზიას იცნობს არა მარტო უკრაინელი ხალხი, არამედ მას იცნობენ მთელი საბჭოთა კავშირის მრავალერიანი ხალხები. მისი შესანიშნავი პოეტური ქმნილებები მახლობელი და საყვარელია საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის.

კარლო კალაძის შემოქმედება

ალ. სულავა

ქართულ საბჭოთა პოეზიაში თავისი წვლილის შესატანად კარლო კალაძემ საკმაო უნარი და პოეტური ძალა გამოიჩინა. ის ერთი პირველთაგანი იყო მათ შორის, ვინც საბჭოთა პერიოდის დასაწყისიდანვე ენერგიულად შეუდგა ახალი ქვეყნის პოეტურ ათვისებას. კ. კალაძე თვალსაჩინოდ ამჟღავნებდა მებრძოლ, კომკავშირულ სულისკვეთებას. მან როგორც ნიჭიერმა პოეტმა, თავიდანვე მიიქცია ლიტერატურულ საზოგადოებრიობის ყურადღება.

კ. კალაძემ თავიდანვე სცადა ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრი — პოეზია, პროზა, დრამატურგია და ყველგან თამამად გამოამჟღავნა თავისი შესაძლებლობა. თავისი პოეტური განვითარების გზაზე კ. კალაძე მძაფრი პოეტური ძიების პროცესში იმყოფებოდა. ეს ძიება იდეური და მხატვრული განვითარების თვალსაზრისით არ იყო თანმიმდევრული. პოეტმა ადრევე განსაკუთრებული მიდრეკილება გამოიჩინა ფორმალურ ძიებისადმი, მაგრამ ამ ძიებაში ლიტერატურული გავლენებიც განიცადა. ეს გავლენები არ ატარებდნენ მარტო ფორმალურ ხასიათს, ისინი თავის დაღს ასვამდნენ მის პოეტურ აზროვნებას. ამ იდეურად არაჯანსაღი განწყობილებების ტალღა ისე მძლავრი იყო კ. კალაძის შემოქმედებაში, რომ მან ბევრი პოეტური მარცხიც განიცადა. თუ პოეტი ერთი რომელიმე ლექსით ხარკს უხდიდა თანამედროვეობას, მეორე ლექსში რაღაცნაირ ისეთ სულიერ ტკივილებზე მეტყველებდა, ისეთ ინდიფერენტიზმში ვარდებოდა, ისეთ თემებისადმი იჩენდა გატაცებას, რომ თანამედროვეობის მებრძოლი ხედვის გარეშე დგებოდა. ასეთია სწორედ მისი ადრინდელი შემოქმედებითი გზისთვის დამახასიათებელი „ძახილი აღმოსავლეთს", „რუბაიები", „ნახტომი გულიდან" და სხვ. ამ ლექსებში პოეტი ცდილობდა ლამაზად გამოეხატა ისეთი განწყობილება, რომელსაც ცხოვრების ნიშანწყალი არ ახლდა, ტრადიციულ, მკვდარ აზრს წარმოადგენდა. აბა, ცხოვრების რა აზრს გამოხატავდა თუნდაც მისი „სირბილის შეძახილი", „შუბის ტარამდე დასოლი მზე"? რასაკვირველია, არავითარს, რადგან ეს იყო ნამდვილი უიდეობა, ფორმალიზმი, რომელიც ყოველი პოეტის შემოქმედებაში მაშინ იჩენს თავს, როდესაც მას არაფერი აქვს სათქმელი ან ინდიფერენტულადაა განწყობილი ცხოვრებასთან. შემდეგ წლებში კ. კალაძემ თანდათან დასძლია ეს მოვლენა. ამ შეზღუდულობიდან პოეტმა მხოლოდ უკანასკნელ დროს გაინთავისუფლა თავი, როცა მისი ლექსების თემად ჩვენი ცხოვრების ბედნიერი და სასიხარულო მოვლენების გამოხატვა გახდა.

რაც უფრო მეტ გულმოდგინებას იჩენს პოეტი ფორმის მხრივ, ცდილობს ყოველი სიტყვა გამოკვეთოს, გამოაქანდაკოს, მით უფრო მეტი დაუდევრობა ეტყობა მას აზრების ნათლად გამოთქმაში, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებით ლირიკოს პოეტს ეპიურობის გრძნობა ახასიათებს. მისი ლირიკა ხშირად შეერთებულია ეპიურ თხრობასთან.

პოეტი ყოველთვის მიისწრაფოდა იქითკენ, რომ ყოველი თავისი სათქმელი ახლებურად ეთქვა. ამიტომ მიმართავს იგი ხან სასაუბრო თხრობას, ხან ორატორულ მანერას, ეპიურ სიდინჯეს. ამ მხრივ კ. კალაძეს ბევრი საინტერესო ცდა ჰქონდა.

თანამედროვეობის რიტმის გრძნობა კ. კალაძის ლექსის დადებითი თვისებაა, ისევე, როგორც ეპიურობა, მაგრამ ამ ეპიურობას კ. კალაძე ამდენხანს ვერ იყენებდა ჩვენი ცხოვრების აქტუალური და კონკრეტული თემების, მოვლენების გამოსახატავად. არაკონკრეტულობა მეტად საგრძნობი მოვლენა იყო მის შემოქმედებაში, ის ხელს უშლიდა პოეტს ცოცხლად და ნათლად გამოეხატა ჩვენი სოციალისტური სინამდვილის მოვლენები. ამ მხრივ მან უკანასკნელ წლებში შესძლო დადებითი ნაბიჯების გადადგმა.

გარდატეხის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს კ. კალაძის პოემა „უჩარდიონი". ამ პოემამ თავის დროზე დიდი კამათი გამოიწვია ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში. ეს პოემა უსათუოდ საკოლმეურნეო ცხოვრებისათვის ბრძოლის სურათების ასახვის საინტერესო ცდას წარმოადგენდა. მაგრამ პოემას მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტაში ემჩნეოდა ცხოვრების არა ღრმა ცოდნის კვალი. პოემა საინტერესოა სიუჟეტური კომპოზიციის თვალსაზრისითაც. კ. კალაძეს შესანიშნავად ეხერხება სიუჟეტის მოხდენილად განვითარება, მოძრაობის მოცემა, მოქმედების ჩვენება. განსაკუთრებით კარგია პოემის დასაწყისი, სადაც აღწერილია შემოღამება სოფელში, როდესაც ძილს ეძლევა ყოველი, არა სძინავს მხოლოდ უჯრედის კრებას, სადაც კომკავშირელები სოფლის ახალი ცხოვრების საკითხებს სწყვეტენ.

„უჩარდიონი" პირველ პოეტურ ცდას წარმოადგენდა ჩვენს პოეზიაში კერძო მესაკუთრული ფსიქოლოგიის საფუძველზე აღმოცენებული კონფლიქტების გამოხატვისას. ამ კონფლიქტების მსხვერპლია პოემის პერსონაჟი გულდა, რომლის შესახებ პოემაში ბევრი მძაფრი სურათია. ასეთია სწორედ იმ ღამის ამბავი, როცა ქალაქიდან მომავალი გულდას ცხენი მარტო, უმხედროდ მივიდა სოფელში, სოფელი ამ დროს ძილს აპირებდა:

„ყოველ ეზოში ყოველი კაცი
ჩასულიყო და ჰიშკრებს ხურავდნენ,
მარტო ისმოდა მდელოს ბიბინი:
იავნანური ძილი ენებათ!
რომ ბედაურმა შეჰქმნა ჰიხვინი
და შარა გრძელი შესძრა ჰენებით".

„უჩარდიონი" კ. კალაძის შემოქმედებაში რეალისტური ხასიათის ნაწარმოებია, მაგრამ თავისი პოეტური ხედვით იგი ყოველთვის როდია რეალისტი. კ. კალაძის შემოქმედებაში სჭარბობს რომანტიკა, იგი რომანტიკული შეგრძნობის და სიყვარულის პოეტია. ამით აიხსნება მისი მისწრაფება რომანტიკულ თემებისადმი. ასეთია სწორედ „ენგურის თქმულება", „მთების ეპოსი", „გამარჯვებული", „ამბავი აჭარელ ამხანაგებისა თქმული კარლო კალაძის მიერ".

თანამედროვეობის ასახვას პოეტი ერთ პერიოდში ურბანისტული მსოფლმხედველობით უდგებოდა. მას ყველგან მთების ნგრევა ეჩვენებოდა, „ყრუ ხეობები, ხედავ, გაალო ლალუმებით ხალხმა", — სწერდა იგი. სოციალისტური აღმშენებლობისა და ქვეყნის გარდაქმნის სინამდვილეს პოეტი ხშირად ზოგადად გამოხატავდა.

„გზას მიაკვლევენ... მალე მაღალი
მთა ჩაინგრევა ძირს. დალახვრული!
და მიწისძვრათა ახალ მაგალითს
ჰქმნის აქ ვაჟკაცი ხელში ლალუმით".

ეს სოციალისტური შრომის სუსტი ასახვაა. ასეთ ზოგადობას ვერ გასცილდა პოეტი სხვა ლექსებშიაც, სადაც სცადა შრომის გამოხატვა. ასეთია სწორედ მისი „ზღვის მიერ მიტოვებულ მთებში", ნაწილობრივ „მთების ეპოსი". ამ პოემაში იგი გამოხატავს ადამიანების ბრძოლას ბუნების სტიქიასთან, ადამიანები იმორჩილებენ ბუნებას ვაჟკაცური შრომით და ბუნებაც უშლის ქვეყანას თავის მდიდარ გულს და სიუხვეს. პოეტი ძლიერია ბუნების სიდიადის გამოხატვაში, მაგრამ მოისუსტებს ადამიანების ცოცხალი სახეების გამოკვეთაში.

ამ მხრივ უფრო საინტერესოა „ამბავი აჭარელ ამხანაგებისა, თქმული კარლო კალაძის მიერ". ამ პოემაში კ. კალაძისათვის დამახასიათებელი რომანტიკული ხედვით არის ასახული აჭარელი მშრომელი ახალგაზრდობის ბრძოლა ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის.

ახალი ყოფის ამსახველ ლექსებიდან აღსანიშნავია კ. კალაძის „იმერული მოთხრობა". ეს ლექსი ორიგინალურია თავისი კომპოზიციითაც, მასში პოეტი ყოფის დეტალების ცოდნას იჩენს; იმერული სტუმარმასპინძლობა პოეტს აღწერილი აქვს მთელი თავისი სურნელებით, განსაკუთრებით კარგია მოხუცი მასპინძლის სახე, რომელიც პირველი რევოლუციის ამბებს იგონებს. მას ახსოვს კაზაკებთან ბრძოლა, რომლებმაც ტყვიებით დაუცხრილეს ოდა. მაგრამ იგი ვერ გასტეხა წარსულმა, დღეს ის ახალი ცხოვრების სიხარულის მოტრფიალეა. იმერული ვახშმის მოლოდინში სტუმარს თბილი ბუხარი ათბობს, მას წინასწარ მიართვეს ხმელი ხილი და არაყი, რომელსაც შემდეგ მოჰყვა გაშლილი სუფრაც. პოეტი იმერული ოჯახის დახატვაში სიმახვილეს იჩენს. აი ღამით მოსულა წვიმა, მაგრამ:

„მასპინძელს უნდა ფეხის ცერებზე
ადგომით
მე ამარიდოს თავის ცხოვრების
წვრილმანს, —
შეუდგა წვიმას აქა-იქ თუნგი, ქვაბი თუ
გობი...
და ჩონგურივით ისმოდა ღამით წვიმა".

დილით კი ოდაში შეანათა მზის სხივმა. გაზაფხულია და ხალხი სათესად მიდის, პოეტი ამ შრომას ქებით იხსენიებს:

„გაროველ მიწას გლეხურ იმედით
გულში ჩავხედე, —
როცა დაეცა სიმინდის თესლი ხნულში,—
დე, გაიხაროს რიადაგში და ზეაღმოცენდეს,
როგორც ხალისი მშრომელი კაცის
გულში!".

თითქმის ყოველ თავის ლექსში ერთ საინტერესო მოვლენას უსვამს ხაზს კ. კალაძე. ეს არის ძველისა და ახლის დაპირისპირება.

ისტორიული წარსულის დღევანდელი თვალსაზრისით პოეტური ათვისების ცდას წარმოადგენს კ. კალაძის „ხერთვისის განთიადები", — ლექსების ციკლი, სადაც კარგად ჩანს პოეტის ჯანსაღი ხედვა, ახალი ცხოვრების ასახვის ჯანსაღი განწყობილება, პოეტური ფანტაზია და განცდა.

„ხერთვისის განთიადები" უსათუოდ კარგი ლექსებია. პოეტი ამ ლექსებში განთავისუფლებულია ბუნდოვანებისაგან. იგი ნათლად ხედავს საგნებს, ნათლად ხედავს წარსულში საქართველოს ამ ჩამორჩენილი და მივიწყებული კუთხის გამოღვიძებისა და ხალისით შთაგონებული ადამიანების სახეებს. ეს ლექსები პოეტის ლირიკული შთაბეჭდილებებია და იგი გამოხატავს იმ სიმშვიდესა და სილაღეს, რომელიც ამ კუთხეს მოუპოვა საბჭოთა ეპოქამ.

იქ, სადაც წარსულიდან ისტორიული ციხე-კოშკების ნანგრევები და მათზე ლეგენდები დარჩენილა—ახლა საბჭოთა ადამიანები ახალ ცხოვრებას აშენებენ. ეს ადამიანები მებადურები, მწყემსები, მფრინავები არიან. პოეტი უხვი საღებავებით ხატავს ამ კუთხის ბუნების პეიზაჟებს—მდინარის სრბოლვას, კალმახთა თამაშს, თევზაობას, მწყემსების ცხოვრებას.

„ხერთვისის განთიადები" პატრიოტული ხასიათის ლექსებია, ქებაა წინად მკვდარი კუთხის აღორძინებისა. აღორძინების ეს სიხარული აძლიერებს სამშობლოს სიყვარულს. პოეტი დარწმუნებულია, რომ:

„ჩვენ მიერ გაჰრილ ხურობებს
სხვა სახელები ერქმევათ,
მის ახალ მოსახლეობას
ქვის ქალაქები უგეთ!
და წყალდიდობით შექმნილი
შუქი სამშობლოს ეფრქვევა,
მტერსაც კი ჩემი ტოლები
მოიგერებენ უკეთ".

სამშობლოს ახალი ცხოვრების შუქი ეფრქვევა.

პოეტი ძველი მესხეთის ამ სახელოვანი კუთხის მრავალ ლეგენდასა და თქმულებას ახალი ყოფის მოვლენებს უპირდაპირებს. იგი ამ ფონზე ხატავს ტრაგიკულ სურათს ხერთვისელი ძველი ოსტატისას, რომელმაც ხის ფრთებით სცადა მაღალ კოშკიდან გადმოფრენა. ახლა ამ კუთხის ცას „ღრუბლებისა და ლეგენდების მაღლა" თავს დასტრიალებენ სამშობლოს თამამი შვილები, საბჭოთა მფრინავები პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, სადაც არაა ბილიკი და არც მაღალი მთები.

„ქოლგით სეირნობს გოგონა,
სადმე ღრუბლების პირად".

სამშობლოს მტრების მომგერიებელთა შორის არიან ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი, რომელთა შესახებაც პოეტი გვესაუბრება ლექსში „უცნობი ქალ-ვაჟი და მებადური". პოეტი სიყვარულით აღწერს თავფარავნელი ახალგაზრდების — პარაშუტისტი ქალისა და მფრინავის — მეგობრობას.

ეს ლექსი ერთგვარი პასუხია იმ თქმულებისა, რომელიც ხალხს შეუქმნია შურიანი ოსტატის შესახებ. საბჭოთა ცხოვრება ცის ახალ ოსტატებს აერთიანებს სამშობლოს სიყვარულის დიადი გრძნობით, ამიტომ უწოდებს პოეტი ამ კუთხის ახალ ცხოვრებას განთიადს.

„ჩვენ ამ განთიადს ვეკუთვნით,
წარსულს კი ნისლი ჰფარავს".

ახალი თბილისის თემას კ. კალაძემ უძღვნა პოეტურად საკმაოდ გამართული ლექსი „შემოღამება მთაწმინდაზე". ქართული კლასიკური პოეზიის ბრწყინვალე სახელების ამაღლებისა და შარავანდედით შემოსვის საქმეს პოეტი დიდი ბელადის სახელს უკავშირებს.

კ. კალაძის ერთ საუკეთესო ლირიკულ ლექსად უნდა ჩაითვალოს მისი „ბარათი ლავრენტი ბერიას". ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ამაგს პოეტი წრფელი სტრიქონებით გამოსთქვამს. ლექსში მოსჩანს დიდი სიყვარული იმ ადამიანისადმი, რომელმაც საქართველოს აყვავების საქმეში სტალინური სიბრძნე ჩააქსოვა:

„სახელი მისი, განთიადის დიდი სახელი,
შენ აქ თვითეულ გამარჯვებას თვითონ
დაარქვი!
ქართლის ცხოვრებას სტალინური ხელი
ახელი,
მტკვრის მდინარებად გაალვიძე ჩამკვდარი
ძარღვი!".

უკანასკნელი დროის ლექსებში კ. კალაძემ გამოამჟღავნა აქტუალური თემებისადმი ინტერესი და, რაც მთავარია, სიმახვილე გამოიჩინა მათი გადაწყვეტისა და პოეტური დაძლევის საქმეში. იგი განთავისუფლდა წარსულში დამახასიათებელი არაჯანსაღი განწყობილებიდან, ბუნდოვანებიდან, რაც აძნელებდა მისი ლექსების აზრის გაგებას. პოეტმა ახალი ცხოვრების გამომსახველ აზრებთან ერთად გამოიჩინა ემოციური და ნათელი ფერებით მათი გამოთქმის უნარი. ამისი მაჩვენებელია მისი „გაზაფხული", ბალადა „გამარჯვებული", „შენ მოგწონს ტანად მაღალი ფიჭვი" და სხვა. ეს ლექსები პოეტის სერიოზული წინსვლაა და იმედს იძლევა, რომ ამ გზით იგი მრავალ პოეტურ ქმნილებას შემატებს საბჭოთა პოეზიის საგანძურს,

პარტიზანის ქორწილი

ელიზბარ პოლუმორდვინოვი

ივლისის თვეში, როდესაც მზე გავარვარებული და მცხუნვარეა, სოფლის ირგვლივ ფერდობებზე არა მხოლოდ ყვავილებისა და მცენარეების, არამედ თვით მზის სურნელიც დგას.. მეტადრე მაშინ, თუ ბალახიც მოთიბულია: სათიბებიდან წამოსული სურნელი განუწყვეტელ ზვირთებად მოღელავს, გზადაგზა ერევა მასში ნაირნაირ ყვავილთა ნაზი და საამო სიტკბოება, მერე ედება მთა-ბარს, ველ-მინდვრებს, სოფლებს და ამსუყებს ჰაერს...

სწორედ ეს არის ზაფხულის სიმწვავე და გამაბრუებელი ძალა, რომელიც სისხლსა და წყურვილს სტეხავს ადამიანში. ეს გამაბრუებელი სურნელი მთელი სოფლის თვალს — თინა გოლეთიანსაც ათრობს და ამღვრეულ - აღელვებულს მთა-ბარისკენ იზიდავს, რომ სწორედ იქ დამშვიდდეს, სადაც იშვება ეს მძაფრი სურნელება.

თინა იყო ჩვიდმეტის წლისა. მის გამოხედვაში გამოუცდელი გულის უბრალოება მოსჩანდა. სითამამით სავსე იყო. მას არ ეშინოდა ხვალინდელი დღისა, რადგან არ ესმოდა არც იცოდა, რისი უნდა შინებოდა. იჩენდა გულის უზომო სითბოს, რადგან მას მხოლოდ პირველად შეეხო სიყვარული. ამ სიყვარულით აღვსილი მიდის თინა ხვამლის მთის ფერდობებში და ჰკრეფს ყვავილებს. ის არ არჩევს ფერებს, არ ახამებს მათ ერთმანეთთან, მრავალფეროვან თაიგულებად არ ჰკრავს ამ ცოცხალ მარგალიტებს; უცნაურად აჭრელებულ ბუნების ხალიჩებიდან ძირიანად ჰგლეჯს და კაბის კალთაში აგროვებს.

მას არ იზიდავს სისხლისფერი ყაყაჩო, არც ლურჯი სინაზის ია, არ ეკარება ტანმოღერებულ მთიურ ზამბახს, ზედ არც კი უცქერის ფაქიზ და თეთრფურცლება გვირილებს.

მას იტაცებს ყვითელყვავილა, მწვანე და მოგრძო ფოთლებით შემკული თიორშა, ესწრაფის უბრალო ქორტოფას, რომლის ფოთლებიც ზევით ლურჯია, ხოლო ქვევიდან ბამბასავით თეთრი. მრავლად აგროვებს ხოჭოჭია ბალახს, წვრილ-ფოთლოვანს, დაბალ და ხუჭუჭა მცენარეს. ჰკრეფს მწვანე და რგვალფოთლოვან სუროს, პრასასავით გრძელ-ფურცლება კონთხოჯის ძირს და ფაფანაკისებურ ბულღვას ფოთლებს.

აივსო კალთა ყვავილებით და, მზის, გამხმარი ბალახისა და წვნიანი მცენარეების სურნელით გაბრუებული, მთვრალივით მიაბიჯებს შინისკენ.

საამო და სანუკვარი ფიქრებიც ყვავილებივით მოჰყვებიან თან: „მე თვითონ, ჩემივე ხელით გავაკეთებ წამლებს, დავამზადებ საუკეთესო მალამოებს. არც დედას დავიხმარ, არც მამას, არავის, არავის!..

და ყოველ დღე მიდიოდა თინა მთის დაქანებულ ფერდობებზე, თვრებოდა ივლისის მწველი სურნელით და მოჰქონდა შინ თიორშა, ხოჭოჭია ბალახი, სურო, ბულღვა...

ოთახში ყვავილების ბალჩა დაუგროვდა.

იქაც მხურვალე ივლისის მწველი სურნელი დადგა...

○

ერთ დღეს ცამეტი მხედარი ნაკურალეში შედიოდა. თითქოს ცხენებიც გახარებულნი იყვნენო, მხიარულად მინავარდობდნენ. ეს პარტიზანი ლეშკაშელი მოდიოდა საცოლეს ოჯახში.

ფრონტის უფროსმა პიხა ჩხეტიანმა თორმეტი ძმად ნაფიცი რაზმელი მაყრებად გამოაყოლა. როდესაც მიხა ხვამლის ძირიდან ისტუმრებდა მათ, ულვაშებში ღიმილით ლეშკაშელს უთხრა:

— ჩვენი პტრები ისე იგვიანებენ, რომ მათ მოსვლამდე ყველა უცოლოს დავაქორწილებთ!.. არც შენ დაგტოვებთ გულნაკლულს. წადი, იქორწილე!

ლეშკაშელი თავჩაღუნული ცხენის ავშარას დასცქეროდა. თასმების ერთ-ერთ ვერცხლის ფოლაქზე თინას სახე ეხატა. ამ ფოლაქიდან თინა შესცინოდა. ლეშკაშელი კი თავშეკავებული, სახემოღუშული უყურებდა, ფრონტის უფროსისა ერიდებოდა.

გოლეთიანების ჭიშკართან ცხენების თქარა-თქური გაისმა.

— სასიძო, სასიძო! — გაისმა ხმა და აივანზე ანთებული კვარით გადმოდგნენ.

ჭიშკარი გაიღო. მასპინძლები სასიძოს და მაყრებს ოთახში შეუძღვნენ. შუამავალი უკვე დასკუპებულიყო იქ. თინა კი გაქრა, სადღაც მიიმალა. გული უთრთოდა და მძიმედ უცემდა. გრძნობა, რომელიც აქამდე სიყვარულით ედუღუნებოდა, უცნაურებად, საშინელებად გადაექცა.

რაზმელები გაათქეცებული გაზვიადებით უამბობდნენ მასპინძლებს მომხდარი ამბების შესახებ.

— გამეიყვანე შენი ქალიშვილი, დოულოცე სიძეს! — წყრომით მიმართა მოთმინებიდან გამოსულმა შუამავალმა ქალის მშობლებს.

კარგა ხანს ეძებეს თინა. ჩირგვში მიმალული კურდღლივით სიმინდებში მინაბულიყო. გამოიყვანეს.

თინა დარბაზში თავდახრილი გამოვიდა. ლეშკაშელისთვის სახეზე არც კი შეუხედნია, ვერც ბედავდა შეხედვას. რაღაც არწივისებური გამოხედვა ჰქონდა ლეშკაშელს. თვალი თვალს რომ შეხვედროდა, როგორც ნიბლია ჩიტს, ისე დასჭრიდა ცქერით.

— ეს უბედნიეროს ჩემს შვილს—სიძეს, სულ კარგად ამყოფოს! — წარმოსთქვა თინას დედამ და უბრალო, მაგრამ ლამაზ კაბაში გამოწყობილი საპატარძლო ოთახის შუა ადგილზე გამოიყვანა, წაღმა შეატრიალა.

მაყრები ჟრიამულით წამოიშალნენ. თინას ძმობილები და დობილები ამოუდგნენ გვერდში.

აივნიდან თოფი ისროლეს — ეს დედოფალი შესვეს ცხენზე.

ხმაამოუღებლივ მიდიან ცხენდაცხენ. მხოლოდ ფიქრებით თავს ევლებიან ერთმანეთს. ნათელი და სავსე მთვარე ფერმკრთალ მზესავით დაჰქათქათებდა დიდგორის ეკლესიისკენ მიმავალ აღმართს.

ეკლესია ხალხით გაივსო.

დაადგეს ნეფე - დედოფალს ოქროსფერი თუნუქის ბრჭყვიალა გვირგვინები, შეასვეს ღვინო, შეუცვალეს ბეჭდები და დაქორწინებულნი გარეთ გავიდნენ.

ეკლესიის გალავანში თოფმა იჭექა — შეიტყოს სოფელმა მათი გაბედნიერება!

დაქორწინებულნი შინ ბრუნდებიან. მოჰყვებიან უკან მაყრები და დობილები, ზევითად და ქვევითად, მხიარული ჟრიამულით და სიმღერით.

ეზოში შევიდნენ.

მაყრებმა ხანჯლები იძრეს, შესავალ კართან გადააჯვარედინეს და ნეფე-დედოფალი მის ქვეშ გაატარეს — ზასრმა დაიფაროსო მათი სიცოცხლე. ზღურბლზე პირდაღმა საინი დასდეს, ნეფე ზედ შედგა, მუხლების ძალამ ჭახანით ჩაამტვრია საინი — ასე ჩაემტვრესო გული თქვენს მტერსა და ორგულს. შუაცეცხლს სამჯერ ირგვლივ შემოატარეს — დაემკვიდროს კერიასა და ფუძეს თქვენი სიცოცხლეო.

მექორწილენი მხიარულად შესძახოდნენ:

— მოგვილოცავს, ნეფე-დედოფალო!...

— მზე და მთვარესავით შეგბეროთ ერთმანეთს!..

სუფრა უკვე გაშლილი იყო.

ღვინით სავსე ტუჩწვრილი ლიტრები, პირფართო შავი რქის ყანწები, კოტეტა და ლობიანი პურები, მშრალად მოხარშული ძროხის ბეჭი, შემწვარი გოჭები და დედლები, — ყველაფერი იყო სუფრაზე, უხვად ყველაფერი ეშოვა გლეხს, რომ შეემკო და შეელამაზებინა თავის უფერულ ცხოვრებაში ერთად-ერთი ბედნიერი და სასიხარულო დღე...

ნეფე-დედოფალს ცარიელი ჭიქები დაუდგეს წინ. თავზე გადასავლები მოაქვთ დობილებს, ძმობილებს, მაყრებს, ნათესავებს, მეზობლებს...

აი ჭიქაში აგდებენ ფირუზისთვლიან წვრილტანიან ოქროს ბეჭედს. აგერ ვიღაცამ ერთი მუჭა ძველი ვერცხლის ფული დაყარა. ჩასრიალდა ჭიქაში ცისფერი მძივების გულქანდი, ლალის თვლებიანი ვერცხლის საყურეები.

— არაფერი გვაქ, ძამიავ, ჩვენ, რით დაგასაჩუქროთ? — წარმოსთქვა ერთმა რაზმელთაგანმა და ორივე ხელი ლეშკაშელისკენ გაიშვირა. — ამის მეტი არაფერი გაგვაჩნია. — და რაზმელმა წელზე შემოვლებულ სავაზნეზე გადისვა ხელი. მერე ერთი ვაზნა ამოაძრო და ლეშკაშელის წინ მაგიდაზე დასდო: — ამ ტყვიასავით პირდაპირი იყავი და ეს ტყვიაც შენსავით პირდაპირი იყოს, უბრალოდ არც ერთი არ დაკარგულიყოთ!...

სხვა რაზმელებმაც მას წაჰბაძეს და თორმეტმა მეგობარმა თორმეტი ვაზნით დაასაჩუქრა.

თამადამ სასმისები მოითხოვა.

დარბაზის კუთხეში ჩონგური აწკრიალდა.

ჰაზრაკებით გადაჭიმულ აბრეშუმის სიმებზე ათამაშდნენ ქალის სანთლებივით წმინდა და წვრილი თითები, სიმების წკრიალს ბროლივით კრიალა ხმა შეეშველა.

ბედნიერებით აივსო ოჯახი. სიხარულმა შეიპყრო რაზმელების გული.

ლეშკაშელი უკვე თავის კერიაზე ფიქრობდა. ოცნებობდა, თუ როგორ მოაწყობდა ოჯახს, ბავშვები რომ ათამაშდებოდნენ მის ეზო - კარში, რომ გახდებოდა მამა და მეოჯახე. როგორი თავგამეტებით იმუშავებდა ყანაში თუ ვენახში, ტყეში თუ მთაში, ოღონდ ბედნიერი ყოფილიყო მისი ჭერი და კერა.

— ცეკვა! — დაიძახა ვიღაცამ.

დაირა გამოიტანეს. ქარაზე გადაკრული მოყვითანო სიფრიფანა ბუშტი შეათბეს და შეაფიცხეს სანათზე. ცერებმა რამდენჯერმე შეატრიალეს ჟღარუნა ლითონის ლიფლილა ზილფებით შემკული დაირა და რითმულმა ხმიანობამ შეიპყრო დარბაზი.

ლეკური!..

თითქოს თვითონ თითები, რომლებიც საკრავს ახმიანებდნენ, დაირის ზედაპირზე ლეკურს ცეკვავდნენ. დაირას ჩონგურის სიმები შეეხმატკბილა.

პირველსავე ბგერაზე მორცხვად მდგომარე ქალი მარჯვენა მხარეს გადაიხნიქა და უეცრად მოსწყდა თავის ადგილს. მან მაღლა ამართული მკლავებით თითქოს სივრცეში ჯეირანივით გაინავარდა. ვაჟმა კი საკვირველი ნახტომი გააკეთა გვერდზე, ქორის მიერ გაკეთებული კამარის მსგავსი. დაედევნა ქალს. ქალი მისრიალებდა, ხანდახან უკან იხედებოდა — მომდევს თუ არა მდევარიო. ვაჟი მართლაც მდევარივით მისდევდა ნახტომ-ნახტომი სრბოლით. ქალი წინ იყო, ის სილაღეს და თავისუფლებას ზეიმობდა, მაგრამ ვაჟმა ერთხელ კიდევ გააკეთა ქორული კამარა, გვერდზე გახტა და ქალს წინ დაუხვდა. არ დაბნეულა ქალი, ვერ შეაკრთო ამ მოულოდნელობამ, თითქოს არწივის ფრთებივით გაშლილ მკლავებიდან თავი დააღწიაო, კვლავ შველივით წინ გაინავარდა.

მისრიალებდა ქალი, გულმწყურვალედ მიჰყვებოდა ვაჟი. აი ის წამიც, როდესაც ვაჟი იწევა ქალს, თითქოს ხელი უნდა ჩაავლოს და მძლავრ მკლავებში დაატყვევოსო, მაგრამ ქალი უსხლტება და კვლავ ლაღი და თავისუფალია. ასე მისწრაფებაში და წადილში დანავარდობდნენ მოცეკვავენი. ხალისიანი შეძახილი ყოველ ადამიანის სახეზე ნათელს ჰფენდა...

ამ დროს კიბეებზე ჩქარი ფეხის ხმა გაისმა.

ეს ნაბიჯები ოთახის ზღურბლთან მისწყდა, შეჩერდა... დაირის ხმაც შესწყდა. ლეკური მინელდა. ოთახში უცბად მდუმარება ჩამოვარდა. უცბად ისე დამძიმდა ჰაერი, თითქოს ეს სიმღერა და ცეკვა ერთი წუთის წინად კი არა, მივიწყებულ დროში ყოფილიყოს...

— რა ამბავია? — იკითხა ლეშკაშელმა.

მოსული შეეცადა მხიარულად ეპასუხნა:

— მენშევიკების გვარდია წამოსულა ლეჩხუმზე!.. — მოსულმა აღარ დააყოლა: გიბარებენო, მან იცოდა, რომ თვითაც მიხვდებოდნენ.

რაზმელები ფეხზე წამოიჭრნენ. თითქოს წვეთი ღვინო არ დაელიოთ, უცბად გამოფხიზლდნენ.

— შენ დარჩი, ნუ გეშინიან, ბრძოლებს შენც მოუსწრებ...

ლეშკაშელმა მის წინ მაგიდაზე მდებარე თორმეტი ვაზნა სასწრაფოდ აკრიფა და წაიჩურჩულა:

— ბოლომდე ერთად ვიქნებით! — წამოდგა. შეხედა თინას და უთხრა; — თუ ვერ დავბრუნდე, ხვამლის ძირში მინახულე.

თინამ პირველად შეხედა პირდაპირ სახეში ქმარს. იგრძნო ტკივილი და ყელთან მოწოლილი სიმწარე. უნდოდა ეთქვა: მეც წამოვალო, მაგრამ ენა არ მოუტრიალდა.

რაზმელები ცხენებს მოახტნენ.

— გაპარჯვებული დაგვიბრუნოთ ღმერთმა! — გადასძახა მიმავალთ გულნაკლულმა თამადამ და სამართლიანი საბაბით უზარმაზარი ყანწით ღვინო გადაჰკრა. მას სწყინდა: ისიც ფხიზელი დარჩა.

მხედრები უკან მოუხედავად მინავარდობდნენ.

მთელი თვე ცეცხლი იფრქვეოდა ხვამლზე.

ლეშკაშელი ბრძოლაში დაეცა.

აკაკი წერეთლის უცნობი ლექსი *

მომღერალ ქალს

Საგანგებოდ მოვლენილო
უზენაეს განგებითა,
სულის გულის გადამბმელო
მომხიბლავი ჰანგებითა!

თვალი გჭამს და ყური გყლაპავს
და მაინც ვერ ძღება გული
ვარდ-ბულბული შენში თხზულა,
რომ ამაღლდეს სიყვარული.

გიყურებ და მაგონდება
თვალდათხრილი მე ბულბული
გაკრეცნილ ზამთარს რომ ვერ
ხედავს
თვალწინ უდგას გაზაფხული.

მოტყუებით მოხიბლული
აფერადებს ჰანგით ჰანგსა
ქვეყნად ცხოველს გამოიწვევს
ცით ფრინველს და ზღვით ნიანგსა.

შენც ისა ხარ, მხოლოდ განზრახ
ჩვენ აწმყოზედ ხუჭავ თვალსა
და ოცნებით წარმოიდგენ
ჩვენ წარსულს და მომავალსა.

ხან ქვითინებ გულდაწყვეტით
შავ ქვესკნელში აძვრენ ხმასა,
ხან იმედი ცაში აგყავს
აორკეცებ გულის თქმასა

ჩამოგვძერე ჩვენც ეგ ძალა
სულთან გულის გადამბმელო,
რომ ყოველთვის თვალწინ გვედგას
ფერმიხდილი საქართველო.

ქვიშხეთი 1896 წ.

აკაკის ეს ლექსი ეხება მაკინე ამირეჯიბს. მაკინე სარდიონის ასული ამირეჯიბისა, მეცხრამეტე საუკუნის დამლევის ქართველ კულტურულ ქალთა—მცირე რიცხვს ეკუთვნოდა.

მთელ საქართველოში განთქმული მომღერალი, მოლეკურე, დაირაზე დამკვრელი, ლიტერატურისა და ხელოვნების მოყვარული მომხიბლავი ქალი და ჩინებული სტუმართმოყვარე დიასახლისი, მრავლად იზიდავდა თავის სახლში ქართველსა თუ უცხოელს მეცნიერს, ლიტერატორს, პოეტს, მომღერალსა და საზოგადო მოღვაწეს.

დაინტერესებული ქართული თეატრითა და ლიტერატურით, ის ხშირად მართავს ქართულ წარმოდგენებს და ლიტერატურულ საღამოებს როგორც თავის სახლში, ისე მის გარედ. ყოველი ახალი ლიტერატურული ნაწარმოები ცხოველ გამოხმაურებას ჰპოვებს მის წრეში, ქართველი პოეტების მოხდენილი, სიმღერათ გადაკეთებული ლექსები კი ნახულობენ აქ შესანიშნავ შემსრულებელს.

პაპუნა წერეთელი.

ყაზბეგს

მ. ლერმონტოვი

შორით ჩრდილოეთს მივეჩქარები,
აღმოსავლეთის მზირო ყაზბეგო,
დავტოვე თბილი, უცხო მხარენი,
მგზავრმა სალამი მსურს მოგაგებო!

მჭმუნვარე შუბლზე საუკუნებით
შენ იხვევ თეთრი დოლბანდის ფოჩებს,
და გოროზ კაცთა საყვედურები
ამაყ სიდინჯეს ვერ აღგიშფოთებს.

ვთხოვ მშვიდის გულით შენს კლდე-
პიტალოს,
ზე ვარსკვლავეთში რომ აგაწვდინა,
ჩემი ვედრება მან მიიტანოს
მარად იქ მსუფევ ალახის წინა!

ვვედრი, მოჰფინოს საამო ჩრდილით
მტვრიანი შარა, მცხუნვარე მდელო,
რომ უდაბური გზით მოთენთილი
ქვაზედ მივეყრდნო და დავისვენო.

ვვედრი, ქარბუქი არ მომეწიოს,
აბჯარასხმული და მოხუზუნე,
ყრუ დარიალში არ მოვემწყვდიოთ
მე და ეს ჩემი მოღლილი ჰუნე.

ერთი სურვილიც გამოვთქვა მინდა,
მაგრამ მეშინის... კანკალებს სული:
ვაჰ, თუ სრულებით განდევნის დღიდან
ვარ სამშობლოში დავიწყებული!

ხვევნას და ალერსს იქ კიდევ ვპოვებ?
მოსიყვარულეს კიდევ ვნახავ გულს?
ძმამ, მეგობრებმა არ მიმატოვეს?
მიცნობენ კიდევ წლობით წამებულს?

თუ ჩემიანი ყველა წამერთო,
ცივ სამარეში ვნახო მდებარე,
ვისთან წარსულში მქონდა საერთო,
ყრმობა ფაქიზი, ყრმობა მგზნებარე?

ო, თუ ასეა, ყაზბეგო, მაშინ
თავს დამტეხე ნამქერთ სიავე
და უსახლკარო ღრმა ხეობაში
შეუბრალებლად გამანიავე!

მთარგმნელი ბაბილინა

იონა ვაკელი

გიორგი სააკაძე

ტრაგედია ოთხ მოქმედებად

ნაწყვეტი მესამე მოქმედებიდან მეორე სურათი

მღვიმის მონასტრის ეზო. ალაყაფის მხარე. შემოდიან: ელია და ხოსიტა. სააკაძეს მიესალმებიან.

სააკაძე — რა ჰქენით, ვაჟკაცებო, ხომ შეიპყარით ანდუყაფარ?

ელია — მოგეცეს სიცოცხლე, მოურავო, არშის ციხემდე სულ კოჭლი ვირივით ვაჩაქჩაქეთ.

სააკაძე — მაშ, კარგად ჩაკეტეთ, ა?

ხოსიტა — დიდებულად, უკეთესად ალმასის თვალს ვერ ჩაკეტავს ძუნწი განჯინაში.

სააკაძე — ეგრე ეკადრება, წავიდეს ახლა და ყეენის ურდოებს დაეხმაროს ქვეყნის დაქცევაში.

ელია — რა საჭირო იყო, მოურავო, მაინცა და მაინც დატყვევება, მოგვეკლა ის წუნკალი და ის იქნებოდა.

სააკაძე — ამას შემდეგში გაიგებთ. ახლა კი წადით, ზაზა ციციშვილი ნახეთ და უთხარით, თავისი რაზმები აქეთ მომაშველოს. აბა, გაფრინდით შურდულივით! (ელია და ხოსიტა მიდიან. მოურავი მარტოა). მტრის ურდოები დაბა-ქალაქებს მუსრს ავლებენ... კახეთი გმინავს... ქართლსაც ეგეთი ბედი მოელის. ღმერთო მაღალო, როგორ გაუკაცურდა საქართველო! ფუი, ამ სირცხვილს, ასეთ საშინელ დაკნინებას! მაგრამ რას ვამბობ: სხვებს რაღ ეძახი, თავო ჩემო, შენ ხომ შენს მშობელ ნიადაგზე გიდგია ფეხი? შენ უნდა იკისრო, შენ უნდა მიუზღო ყეენს მაგიერი... ეს რა ხმა მესმის იდუმალი: რომ ვერ შესძლოო! ვითომ ვერ შევსძლებ? ღმერთო ჩემო, ეს რა ცთომილი აზრი მიტრიალებს! თავბრუ მეხვევა (შეაჟრჟოლებს), ბედკრულო თავო, სად ებმები განწირულივით? ნუ თუ პაატა აღარ გახსოვს—ის ცოდვილ დღეზე გაჩენილი? შვილი თუ ქვეყანა? ზეციერო, შენ რას მიბრძანებ? ორივე სასწორზე დამიდვია... იქნებ შენ მითხრა, რომელი გავიმეტო? არაფერს ამბობ? განვედით ჩემგან უძლურების ცთომილნო ხმანო! ისევ ქვეყანა, ისევ სამშობლო უნდა ვიხსნა დაღუპვისაგან! (შემოდის პაპუნა).

პაპუნა — კახთა სარდლები მოვიდნენ, მოურავო!

სააკაძე — სთხოვე მობრძანდნენ!

(ალაყაფის კარს გაალებს: შემოდიან დავით ჯანდიერი და ედიშერ ჩოლოყაშვილი).

ჯანდიერი — დადგა ჟამი, შენგან მსხვერპლს ითხოვს სამშობლო შენი, მოურავო!

ედიშერ — დიდო სარდალო, საქართველოს სული გავალებს, დაიცვა ხალხი ან მასთან ერთად განადგურდე!

სააკაძე — დიდება მის სახელს, ჩემო გმირებო! მომეცით ნება ორივეს გულზე გეამბოროთ!

ჯანდიერი — შენი კაცები იყვნენ ჩვენთან, შვილო ჩემო: ელია და ხოსიტა. შენგან მოწერილი წიგნი მოიტანეს... ხმალი აგვიღია ურჯულოს წინააღმდეგ!

სააკაძე — და არც ჩაიგება იგი, ვიდრე ქართლის მიწაზე მტერი ითარეშებს!

ჯანდიერი—ეგრე, ეგრე შენი კურთხევის გულისათვის!

ედიშერ — ქვეყანას პატრონი აღარა ჰყავს, მოურავო, მეფენი იმერეთში გადაბარგდნენ... აიღე, ფარი, ჩაფხუტი იგი უძლეველი თავზე დაიდგი და გზა მახვილით გაგვიკვლიე!

ჯანდიერი — ხომ ხედავ სოფლებს ცეცხლ-მოდებულს, ბაღებს და ბაღჩებს დალეწილებს... წყეულიმც იყოს, ვინც ეგეთი ტანჯვა ხალხს თავზე რისხვად დაატეხა!

სააკაძე — ამინ იყოს წყეული ზეცისაგან! ირანში მაჰმადი ვირწმუნე, გულით კი არა, პირფერობით გადავდგი ეს საბედისწერო ნაბიჯი ყეენის გულის მოსაგებად... სასტიკმა ბედმა ეგეთი უძლეველი ხელით მიმართა ჩემი გზები... აწ განგება გახლავთ მპყრობელი ჩემი სულის და ზრახვებისა... მომეცით მხარი, გამოიყვანეთ მხედრობა დარახტული და სამაგიეროდ მიიღეთ ჩემგან ჩემი ხმალი, ჩემი სიცოცხლე!

ჯანდიერი — გაკურთხოს ღმერთმა, შვილო ჩემო! სიმართლე შენთანაა, შენთან იქნება შენი ხალხი, შენი ქვეყანა...

სააკაძე — თუ იქნება, ჩემი თავიც ქვეყნისთვის შემიწირავს... და თუ არ იქნება, მარტოც რომ დავრჩე, მაშინაც არ დაცხრება ჩემი ხმალი. ხუმრობა საქმე არ გეგონოთ, მეგობრებო, განზრახულია ქართლ-კახეთის აყრა და ირანში გადასახლება... მძვინვარე მახვილია საქართველოს გულზე მობჯენილი... დიდი, პატარა, ყველანი ფეხზე დააყენეთ... ნიშანი ეგეთი იქნება: ხარება დილით საფურცლეს... შემდეგ მარტყოფს... ბოლოს კახეთში — ფეიქარხანს რისხვად დავეცემი.

ჯანდიერი — ეგრე, ეგრე, შენი სიტყვების ჭირიმე, მთელ კახეთს ფეხზე დავაყენებთ!

ედიშერ — ერთი გვაღვრევიე მოურავო, ყიზილბაშების სისხლი, გვაღვრევიე და შენს სახელზე, როგორც ხატზე, ისე ვილოცებთ კახელები!

სააკაძე — თუ არ გაღვრევიოთ — ლაჩარი მიწოდეთ... შენ, ჩემო დავით, ჩემო ცალთვალა ციკლოპო, მყისვე წახვალ და სიღნაღს გაამაგრებ... იქ მე ყიზილბაშების ნაწილს გამოვგზავნი ჩასახოცად და შენ იცი, როგორ დაუხვდები... შენ კი, ედიშერ, წახვალ და მეფე თეიმურაზს გადმომიყვან იმერეთიდან—არ დაგვავიწყდეს: ხარება დილით საფურცლეში დაგელოდები... იქ უნდა მოხდეს ყათლანი ყიზილბაშთა. არ დაგვავიწყდეს: ხარება დილით!

ედიშერ — იხარე მარად მაგ ნუგეშიანი სიტყვებისთვის! (მიდიან).

პაპუნა — იცი, გიორგი, დრო ეხლა გვაქვს და მოვიხმაროთ, შადიმან მოდის და ანდუყაფარიც ტყვეთა გვყავს... რაღა გვაბრკოლებს, ერთი დავერიოთ და ქვეყანა მოისვენებს!

სააკაძე — ეჰ, ჩემო პაპუნა, ისეც ბევრი სისხლი დაიღვარა ქართველებისა, აღარ უნდა მიმატება! (გამოჩნდება ქალი მონაზნის ტანსაცმელით) ეგ ვინ არის, შავებში გახვეული? დედაო შავოსანო, ვინა ხარ შენ?

თეკლე — ვეღარ მიცანი? ან რას მიცნობ, ელდა-მწუხარებამ სულმთლად გამომცვალა... შენც გამოცვლილხარ, უბედურო, გატეხილხარ, თმაში ჭაღარა გაგრევია...

სააკაძე — ვინა ხარ მეთქი, აღარ იტყვი?

თეკლე — მე ვარ, ძმაო, უბედურ დღეს გაჩენილი, ვეღარ იცანი შენი თეკლე?

სააკაძე — ჩემო ძვირფასო, ჩემო გაწამებულო და ცოცხლად წაწყმედილო დაო! მე დაგღუპე, მე ჩავდექი შენს ცოდვაში! (ჰკოცნის) სადღაა ის ძველი დრო, როცა ნოსტეში ჰყავოდი უზრუნველად? სადღაა ნოსტევი, სადღაა ჩემი საქართველო?

თეკლე — აღარ არის! ისე აღარ არის, როგორც საწყალი დედაშენი. სულ შენს ხსენებაში იყო სიკვდილის წუთებში. ვერ აიტანა მწუხარება, ძნელი ასატანი ყოფილა მეფის რისხვა და ქვეყნის აოხრება.

სააკაძე — ო, საბრალო დედაჩემო! ნეტავი იმ დროს სასთუმალთან მაინც გყოლოდი... გული მეჯერა, ტირილით გავმძღარიყავ. ეჰ, ჩემი ბრალია ყოველივე, ყველანი ქვეყნის გულისათვის გავიმეტეთ, ქვეყანამ კი ეგრე მიყო, ეგრე გადამიხადა. მაგრამ არაფერია, ღმერთი გადაუხდის ლუარსაბს, ღმერთი მოჰკითხავს ჩვენი წახდენის მძიმე ცოდვას!

თეკლე — ნუ გიორგი, თუ ძმობა გწამს, ცუდად ნუ ახსენებ ჩემს ლუარსაბს. დიდებულებმა აიძულეს, ძალა დაატანეს... რა უყოთ, რომ არ ინება ჩემი დედოფლობა, თავს გვირგვინი ამხადა უკადრისად! მე მაინც მასზე ვლოცულობ, სენაკში ჩაკეტილი... იგი ყეენს სასიკეთოდ არა ჰყავს წაყვანილი... ნუ გაიმეტებ სასიკვდილოდ, შეიბრალე შენი მეფე და ჩემი წამწყმენდელი!

სააკაძე — როგორ? შენ გული კიდევ დაგრჩენია იმ შენს დამღუპველზე?

თეკლე — რა ვქნა, ძმაო, მებრალება ის უბედური... ის თვით არ არის დამნაშავე... მე ვიცი შენი ხასიათი, შენ არ იცი ჯავრის ამოყრა, არ გიყვარს სისხლი და ისიც უბრალოდ დაქცეული.

სააკაძე — წმინდაო არსებავ, კეთილო სულო, ქვეყნად ტანჯვისთვის გაჩენილო! პირობას გაძლევ, ხელს არ ვახლებ — საუბედუროდ!

პაპუნა — ო, დედოფალო! ეს წმინდა სული რომ კიდევ შეგრჩენია... მსურს თაყვანი ვსცე შენს მწუხარებას! (კალთაზე ეამბორება).

თეკლე — შენ აქ იყავი, პაპუნა?

პაპუნა — დიახ, აქ გახლდი, დედოფალო!

თეკლე — შენდა სატანჯველად პაპუნა, შენდა სატანჯველად გავჩენილვარ ქვეყანაზე... მაგრამ ჩემი ბრალი არ არის...

პაპუნა — ღმერთია გულთამხილავი, დედოფალო, შენ თვით არავინ არ გამტყუნებს!

თეკლე — ჩემო ძმაო, ჩემო წამებულო და უაღრესად ტანჯულო ძმაო! წარსულის ამბავს რომ მიგონებ, ცეცხლი მეკიდება. ბედნიერი ვიქნებოდით, მაგრამ განგებამ არ ინება!

პაპუნა — მიპატიებია, დედოფალო, ღმერთმა ნუგეშში გცეს და შეგივრდომოს!

თეკლე — აგერ მოდიან... მშვიდობით, გიორგი, მშვიდობით, ჩემო პაპუნა, მივალ მონასტერში, სენაკში ჩავიკეტები და თქვენი საქმის გამარჯვების გულისთვის ვილოცებ გულმხურვალედ.

(პაპუნა თეკლეს გააცილებს, შემოდის ზურაბ და სარიდან).

ზურაბ — სადა ხარ, გიორგი? მთელი დღეა ქუდმოგლეჯილი დაგეძებ, ყორჩიხან ბანაკში გიბარებს, უკვე იწყება მუხრანიდან ხალხის აყრა და წიოკობა.

სააკაძე — იწყება კიდეც? ო, ჯალათი ყარამფილი! აბა, გაბედოს, უმალ ჩემის ხმლით ჩავაძაღლებ!

სარიდან — ყურს არ ვუჯერებ, ეს რა მესმის? (განაგრძობს ყურის გდებას)

ზურაბ — ეგ რა სთქვი, ხომ არ გაგიჟდი, გიორგი?

სააკაძე — დღეს, ზურაბ, დღეს გამოჩნდება ჩვენი ვაჟკაცობა, ჩვენი მამულის სიყვარული. ხომ გაიგონე, ხომ შეიგნე ყეენის გეგმები, სურთ გააუქმონ საქართველო!

ზურაბ — თუ კი ეგრეა, რას ვუყურებთ, ეხლავ რამე გზა გამოვნახოთ.

სააკაძე — გზა ერთი არის, ჩემო ზურაბ, ერთად-ერთი და საიმედო. ან უნდა ვიხსნათ მე და შენ ქვეყანა, ან მის სახელთან ბრძოლაში დავიღუპოთ. ამოირჩიე, რომელიც გიჯობდეს!

ზურაბ — ღვაწლით შემოსილო, წმინდაო ესტატევ, ეს რა მწარე და შავი ხვედრი გამიმზადე!..

სააკაძე — როგორ? ყოყმანობ?

ზურაბ — თუ გულს ეგ გედო, იქ რად არ მითხარ, ისპაჰანში, ირანში ცოლს არ დავტოვებდი! იქ უნდა გეთქვა, იქ უნდა გემხილა გულის ხვაშიადი!

სააკაძე — იქ თუ არ გითხარ, ამის მიზეზი სიფრთხილე იყო, ჩემო ზუ-

(დასასრული მე-4 გვ.)

უცნობი პოეტი ქალები

ტრიფონ რუხაძე

ძველ საქართველოს რიცხვმცირე პოეტ ქალთა პლეადას ემატება სახელი ორი აქამდე უცნობი პოეტი ქალისა. ესენი არიან სოფიო და მუხრანბატონის დედა ვარვარა [1].

ჩვენამდე მოაღწია ამ პოეტი ქალების ორიოდე ლექსმა, რომლებშიც ძველი ქართული მწერლობის ტრადიციისამებრ, დამოწმებულია პოეტ ქალთა სახელები: აი ეს ლექსები:

„შენსა ცხოვრებას, შორით მორებას,
წერად სოფიო კრძალვით ვბედაო".
„დეკანოზის დის სოფიოსაგან,
აწ ესე მცირე, მძღვნად შეიწირე".

პოეტი ქალი ვარვარა თავის ლექსში ამბობს: „ქ. მუხრანის დედის ვარვარას ნათქვამია". სხვა რამ, მის შესახებ არაფერი ვიცით. ეხლა ძნელია იმის გარკვევა, თუ რომელ მუხრანბატონის დედას ერქვა ვარვარა.

პოეტი ქალის ვარვარას ერთ-ერთ უსათაურო ლექსს, რომელშიც რუსთაველისა და ბესიკის პოეტური სკოლის გავლენა შეინიშნება, სატრფიალო ხასიათი აქვს.

„სევდის სადგურს გონებასა
რაც უშოვე, რამც უპოვე,
ცისა შვიდთა მნათობებსა,
შევეხვეწე „მარგეთ მოვე,
მკურნალ ეტლთა გეაჯები,
ჩემთვის შველად ვერ ვიშოვე
ვარდი რამე სატურფალი ლხენად
ჩემთვის მოვიპოვე"

ამ „სატურფალ ვარდს" პოეტი ქალი მუდამ ემონება, მისთვის „წყლული გაჩენია გულს" და მაინც უმღერის:

„ჩემი გონება მას ემონება,
ვინ არის ტურფა სამკობ-სვიანი,
დავეკონები ცრემლთა მფონები,
ვის დაუჩაგრავს ვარდი იანი,
ულრუბლოდ მნათობს,
ჰაერს ანათობს..."

ამგვარად, პოეტი ქალის ვარვარას „სევდის წყარო" სატრფოა და, მგონი, მისი ერთად-ერთი შთაგონების საგანიც ეს უნდა იყოს, მუდამ ენატრება იგი და ვერასოდეს მას ვერ მიატოვებს:

„სიხარულ შვებავ სინათლევ,
ჩემგან ხარ მოსასურვები,
წახვალ, წამოგყვეს გულები,
სევდითა დადაღულები,
ვაი რა შესაძრწუნები
გაყრით შელამდის სულები,
თუ ნაწავად დამიძვირდება,
სიკვდილსა დავეშურები".

○

ეხლა პოეტი ქალის სოფიოს შესახებ. იგი „ნინო ქართველთა განმანათლებლის" სურათის წინ დგას, „წმინდა სანთლის" სხივი ლოყებზე სცემს, ნინოს ქებას აპირებს და ასე შესთხოვს:

„ბნელისგან მიმძლავრიბილთა
აღმოგვიბრწყინდი მზედაო,
აწცა გიორგი მეფის სძალს
ქეთევანს ეყავ მზედაო
და სულიერს მტერზედ მეოტად
გამოაჩინე მძლედაო".

სოფიო იოანე ბატონიშვილს მეუღლის ქეთევან ზურაბ წერეთლის ასულის თანამედროვეა. იგი მომსწრეა 1801 წელს გიორგი XIII-ის ძეთა რუსეთში გადასახლებისა. მანვე კარგად იცის, რომ გრიგოლ იოანეს-ძე, ერთად-ერთი ვაჟი ქეთევან ზურაბ წერეთლის ასულისა, 1812 წლის აჯანყებაში მონაწილეობის გამო, რუსეთში გაიწვიეს. თვით ქეთევანი საქართველოში სცხოვრობს, სამყოფელად მიჩნეული აქვს გორის ციხე და სანატრელად ერთი რამ დარჩენია: მეუღლე და შვილი „მსწრაფლ მოექცენ ქართლადვე, არ იქმნენ გზა განგრძობილი"... ამიტომ ქეთევანი ავალებს პოეტ ქალს სოფიოს დასწეროს ლექსად „ცხოვრება წმინდა ნინოსაი", რომლის ერთ-ერთ სტროფში პოეტი ასე მიმართავს ნინოს:

„გულის მოდგინებით მიბრძანებს
შენის ცხოვრების წერასა,
უმეცარი და უცნობი,
შემძლებელი ვარ მე რასა,
მე ვითა ხელვჰყოფ აღწერასდ
ქებასა შენსა ფერსა,
მაგრამ სძალს ხელმწიფისასა
უარს ვკადრებდი ვერსა"[2].

ჩვენს პოეტ ქალს ისიც არ დავიწყენია ეთქვა, თუ როდის დასწერა მან ლექსი „ნინო ქართველთ განმანათლებელზე". აქ მას ქართული წელთაღრიცხვა — ქორონიკონი მიუშველებია:

„ვინცა ინებოთ ამ წიგნის
აღწერა რაზომ ხანია,
თვესა ივლისსა სრულ იქმნა,
იყო დღე იგი ცხრანია,
ქორონიკონი ჯდებოდა
ამ წელს ფარი და ბანია".

„ფბ ქორონიკონი" 1814 წელს გვაძლევს (1312+502=1814 წ.).

პოეტ-ქალს სოფიოს კარგად სცოდნია ძველი ქართული საისტორიო მწერლობა და ეთიკა, რომლის მიხედვითაც პოეტს მართებს რიდი და მოკრძალება სახოტბო ობიექტებისადმი, მან მოკრძალებით უნდა უცქიროს თავის შთაგონების საგანს:

„ქალწულთა თვალო, მზედ მისათვალო,
ქართველ მნათობთ ღირსო დედაო,
მოციქულთ სწორო ბრალთ განმაშორო,
მწუხრის შემცვლელო ნათელზედაო,
შენსა ცხოვრებას, შორით მორებას,
წერად სოფიო კრძალვით ვბედაო".

აღსანიშნავია, რომ პოეტს არც მკითხველი ავიწყდება:

„ამ წიგნის მქონეს,
მკითხველ გამგონეს,
შენი მოჰფინე მადლი ზედაო".

ჩვენს „მეტიხე ქალს" კარგად გაცნობილი ჰქონია „წმინდა ნინოს" ცხოვრება და თვით კლასიკური ხანის მეხოტბეები. მოვიყვანთ აქ ამ მხრივ დამახასიათებელ სტროფს:

„მაყვალოვანს ვანობს, სულთა სავანობ,
უბრწყინვალესად ნათობ მზისაგან,
ქება მსურს წერად, შევიძლებ მე რად,
ნაკლულევანი გულის ხმისაგან".

ეს ლექსი მოკლებული არ არის ხალხური პოეზიის გავლენას. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს მისი ერთი სტროფი რომელიც ასე იკითხება (სხვათა შორის, პოეტი დიდ თავისუფლებას იჩენს მარცვალთა რაოდენობის დაცვაში).

„შენ უცხოვ და უცხოთა
მხსნელად მოსრულო დედაო.
ბნელისგან მომძლავრებელთა,
აღმოგვიბრწყინდი მზედაო".

ნინოს ცხოვრებიდან პოეტს აუღია არა ყველა მომენტი, არამედ ისეთი დეტალები, რომელმაც ეს ლეგენდარული ქალი, ნინო შარავანდედით შემოსა. ნინოში ორი ძალა შეუმჩნევია პოეტ ქალს სოფიოს, პირველ — ხორცის კურნება", ე. ი. ავადმყოფთა მორჩენის სასწაულ-მოქმედებრივი უნარი, და მეორე — „სულის კურნება", ე. ი. კერპთმსახურებაზე მდგომ ქართველთა ქრისტიანულ რწმენაზე გადაყვანა.

მისტიკური იერი ჩამოკრავს პოეტს, როცა პირადი თხოვნით მიმართავს ნინო ქართველთა განმანათლებელს:

„ნინა ქართველთა მნათობო,
ვარ შენის სასოებითა,
დეკანოზის დას სოფიოს
მომხედე მოწყალებითა,
დამიხსენ ჯოჯოხეთისგან.
სამოთხე ვპოვო შვებითა".

ამ ლექსის მისტიკური იერი სხვაგანაც შეინიშნება, თუმცა ეს ადგილი შედარებით სუსტია:

„წმინდაო ნინა, მიხედე
ასულსა წერეთლისასა,
ფერცხალსა იოანესა,
გიორგი მეფის ძისასა,
ვისთვის არს მარად მწუხარე,
სიშორვით სიგრძეს გზისა,
შენითა შუამდგომლობით
ითხოვს ნახვასა მისასა".

ასევე მდარეა ლექსი, რომელიც შეიცავს ვედრებას ნინოსადმი, რათა დაუბრუნოს დედას, ქეთევან ზურაბ წერეთლის ასულს, გრიგოლ იოანეს-ძე ბატონიშვილი, რომელიც 1812 წ. რუსეთში გაიგზავნა:

„სახელად თვისად ჰყვანდა მას
ძე ერთი მხოლოდ შობილი,
ან სიშორითა მისითა
არის გულლახვარსობილი,
და დაუცხრომლად გავედრებს,
მარადის ცრემლით ლტობილი,
მსწრაფლ მოაქციენ ქართველადვე.
არ იქმნენ გზა განგრძობილი".

ასე გვეხატება უცნობი პოეტი ქალების სოფიოსა და ვარვარას შემოქმედების ერთი ფურცელი.

ვინ იყო პოეტი ქალი სოფიო? აქ ერთი საკითხი გვინდა დავსვათ: ხომ არ არის ეს ქალი სოლომონ ლეონიძის მეუღლე—სოფიო, ნიკო ბარათაშვილის „ბედი ქართლისას" გმირი ქალი?

---

[1] მასალა უცნობი პოეტი ქალების შესახებ ჩვენს მიერ მოპოვებულია ლენინგრადის აკადემიის ქართულ ხელნაწერებში (E 45) და შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის იოანესეულ კოლექციაში, № 76.

[2] ქეთევან, მეუღლე იოანე ბატონიშვილისა გარდაიცვალა 1823 წ. (იხ. პ. იოსელიანი — „ცხოვრება გიორგი XIII", 1936 წ. გვ. 59). იგი ბიბლიოფილი იყო: სხვებსაც ავალებდა დაეწერა, თუ გადაეწერა ქართული წიგნები (იხ. ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის იოანეს კოლექცია № 170).

ბიბლიოგრაფია

დემნა შენგელაია—„ცისკარი"

დ. შენგელაიას რომანი „ცისკარი" ახალი მოვლენაა მწერლის შემოქმედებაში. ეს ნაწარმოები დაწერილია სოციალისტური რეალიზმის პრინციპით. თემად აღებულია ხელოსნებისა და საერთოდ ამქრული წყობილების რღვევა და სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის გაძლიერება. კანონზომიერად და დიდი მხატვრული ოსტატობით არის რომანში ნაჩვენები მუშათა მოძრაობის ჩასახვა და მისი თანდათანი განვითარება. იგრძნობა, რომ აღებული მასალა ავტორს სერიოზულად შეუსწავლია და მის დამუშავებაზე პასუხისმგებლობით უმუშავნია.

ნაწარმოების ქარგა იწყება თბილისის ხელოსანთა 1865 წლის „ბუნტით" და შემდეგ სიუჟეტური ხაზი ვითარდება სამიოდე ხელოსნის ოჯახური ცხოვრების ფონზე. მაშინდელი ცხოვრების მრავალი დამახასიათებელი მოვლენა ავტორს დიდი სიღრმით აქვს დახატული. ძველი ხალხი, ამ ხალხის ლაპარაკის კილო, სიტყვა და საქმე ისტორიული სიმართლით არის ნაჩვენები. მწერალი კარგად სჭვრეტს და მკითხველსაც კარგად აჩვენებს მაშინდელ ქარგლისა და ოსტატის ცხოვრებას. მწერალი იყენებს ძველი თბილისის ხელოსნების ფოლკლორულ შემოქმედების ნიმუშებს გარემოცვისა და ფსიქოლოგიის უკეთ გადმოცემის მიზნით. ეს ნიმუშები — იგავები, ანდაზები, მახვილი თქმები მოხდენილად არის შეზავებული ტექსტში და დიალოგებსა და მონოლოგებს ამახვილებენ, საინტერესოს ხდიან. ამასთან ეს იგავები და ანდაზები ეპოქის შესაფერია და მის კარგად შეგრძნობას უადვილებს მკითხველს.

სისრულით არის დახატული და სრულყოფილ ტიპამდე აყვანილი ძველი ყარაჩოღელის ნდგრას სახე. მისი ბიოგრაფია და ცხოვრება ამ ტიპის შესაფერისია. ნდგრას შესახებ თავები ინტერესით იკითხება. ეს თავის-თავად საინტერესო ტიპი ავტორსაც საინტერესოდ აქვს ასახული.

ხელოსნებისა და ამქრის ყოფა-ცხოვრება, ხელოსანთა გაბოგანოების გზაზე შედგომა, რელიეფურად არის ნაჩვენები შიო დარაშვილისა, ბეჩარას და გუგოს ოჯახური ცხოვრების ფონზე. ყველა ესენი ხელოსნები არიან და მათ თავიანთი საკუთარი სახელოსნოები აქვთ, სადაც მათთან ერთად ქარგლებიც მუშაობენ. მათი მდგომარეობა სავალალო და უნუგეშოა. გამოუვალ მდგომარეობაში მომწყვდეულნი თავიანთ თავს ფიტულს ადარებენ და ბეჩარას პირით ასე მეტყველებენ: „სიკვდილი, აი ეს არის ეგრე ჩუჩელად რომ გაგაკეთებენ და ქვეყნის მასხარად გაგხდიან. ფრენა ეხლა მას არ შეუძლიან და თვალშიც სინათლე არა აქვს. მაშ რა ჩემი ფეხების ხოხობია?.. ჩვენც ეგრე ვართ, — ხელები გვაქვს, უნარიცა გვაქვს, ქუდიცა გვხურავს, მერე რა? მუშტარი არა გვყავს, ვერც ვმუშაობთ, ჰამაც ვერცა ვცხოვრობთ, ეშხი გვაქვს და ქეიფი არა, ხელი გვაქვს და სამუშაო არა. მაშ სადაური ოსტატები ვართ?"

ბეჩარას კარგად ესმის, რომ საქმე მარტო მის ბედს არ ეხება, რომ მის მდგომარეობაშია ყველა ხელოსანი, მთელი ამქარი. ის არა მარტო ახლანდელ მდგომარეობაში ერკვევა, უარეს მომავალსაც სჭვრეტს კაპიტალიზმის განვითარების პირობებში. მან იცის, მალე რა ცოდო-მადლი დატრიალდება. გუშინ ხელოსანთა სამმართველოში იყო და იქ გაიგონა, თორმეტი ათასი ხელოსანი ნახევარზე დავიდაო. დარჩენილი ექვსი ათასიც ტრაქტირში, ქუჩაში არიანო. მათ ჯერ კიდევ სული უდგათ, ვალსა და ვახშში არიან, მაგრამ გაჭირვების წელკავი თანდათან მათაც მუხრუჭებს უჭერს. ზემოდასახელებული სამი ოჯახის ცხოვრების ფონზე ნაჩვენებია კაპიტალისტურ ურთიერთობაში ხელოსნების დაღმართზე დაქანება.

რომანის ზოგიერთი მომქმედი პირი და, სხვათა შორის, ქართლიდან ჩამოსული ტეტიათა მოტრფიალე ძალიან მკრთალად არის ასახული. ტეტიათა ეს მოტრფიალე ამეტყველებულია უფრო გვიანი ეპოქის სტილით. ოთარის მოქმედებაში მკითხველისათვის ბევრი რამეა გაუგებარი. ოთარი „ბუნტის" ამბებიდან მოდის და ის თავიდანვე შეგნებულ რევოლუციონერათ არის გამოყვანილი. მისი სტუდენტობის პერიოდი ნაწარმოებში არა სჩანს და მკითხველმა მხოლოდ ის იცის, რომ ამ პერიოდში სტუდენტურ არეულობაში მონაწილეობისთვის დაჭერილი და გადასახლებული იყო.

სახელების შერჩევა, მათი მეტყველების სტილი ნაწარმოებს უხდება და ეს ეპოქის შესაფერისია. ნაწარმოების ენა მთლიანად კარგია, მაგრამ მასაც აქვს ზოგიერთი დეფექტი. არის ლაპსუსებიც. თბილისში არსენალის მთაზე არსენალის მოწყობის შემდეგ არავითარ კრივს არ დაუშვებდნენ, ხოლო არსენალის აშენებამდე ამ მთას სხვა სახელწოდება ჰქონდა. მდივანის კალენდარიც არ არის მაშინდელი ცხოვრების მოვლენა. ნაწარმოების ნაკლად ისიც ჩაითვლება, რომ ხელოსნებისა და მრეწველების ნაწარმოებს თავის სახელს არ არქმევს და ზოგადად ნივთის სახელით იხსენიებს.

მიუხედავად ამ ნაკლისა „ცისკარი" დემნა შენგელაიას შემოქმედებაში უნდა ჩაითვალოს სერიოზულ მოვლენად.

„ცისკარი" გამოცემულია ფედერაციის მიერ.

გ. მებუკე

„აკაკი წერეთელი სომხურ ლიტერატურაში"

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკამ გამოსცა დოც. ი. ბეგლაროვის წიგნი „აკაკი წერეთელი სომხურ ლიტერატურაში". ეს ნაშრომი წარმოადგენს ანოტირებულ ბიბლიოგრაფიას. მისი მიზანია თავი მოუყაროს ერთად როგორც აკაკის ირგვლივ სომხურ ენაზე არსებულ სხვადა სხვა წერილების, ისე მისი ნაწარმოებების თარგმანების შესახებ არსებულ ცნობებს.

წიგნი შეიცავს სიას მოკლე განმარტებებით სომხურ ჟურნალ-გაზეთებში სხვადასხვა დროს აკაკის შესახებ მოთავსებულ წერილებისა, მოგონებებისა, განცხადებებისა და აგრეთვე მის ნაწარმოებთა სომხურ ენაზე თარგმანებისა. მასალების დალაგებაში ავტორი მიჰყვება ქრონოლოგიურ თანრიგს.

ცნობარიდან ვგებულობთ, რომ ა. წერეთლის შესახებ მასალების გამოქვეყნება სომხურ ენაზე იწყება უმთავრესად მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან. პირველი სტატია, რომელიც ანოტირებული ბიბლიოგრაფიის ავტორს აქვს მოყვანილი თავის ცნობარში არის „მურჭის" სარედაქციო სტატია (1889 წ. № 6), რომელშიაც აღნიშნულია აკაკის, როგორც პოეტის უდიდესი ოსტატობა, სტატიაში მრავალგან ციტირებულია ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებები აკაკის შესახებ. განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება სომხურ პრესაში უპოვია აკაკის იუბილეს და გარდაცვალებას. არ დარჩენილა თბილისისა და ერევნის არცერთი სომხური ორგანო, რომელსაც არ აღენიშნოს ეს თარიღები.

სომხურ ენაზე უთარგმნიათ ა. წერეთლის თითქმის ყველა საუკეთესო პოეტური და პროზაული ნაწარმოები: „სულიკო", „გოგია მეჩონგურე", „მუშის ნატვრა", „ჭალარა", „გამზრდელი", „გაზაფხული", „განთიადი", „ჩემი თავგადასავალი", „ბაში აჩუკი", „გურული ნანინა" და სხვ. ზოგიერთი ნაწარმოების რამდენიმე თარგმანი არსებობს სომხურ ენაზე.

ცნობარი საინტერესო მასალებს გვაწვდის იმის შესახებ, თუ რამდენად პოპულარული ყოფილა ა. წერეთელი სომეხ-მკითხველთა შორის.

როგორც ავტორი აღნიშნავს ამ ცნობარს არ აქვს სისრულის პრეტენზია. უნდა ვიფიქროთ, რომ ზოგი რამ მართლაც გამორჩენილია ამ ცნობარში; კიდევ ერთი შენიშვნაც: ზოგჯერ ი. ბეგლაროვი ზედმეტ დეტალიზაციაში ვარდება, როდესაც გვაწვდის ცნობას ამა თუ იმ სტატიის ავტორის შესახებ, რომელსაც უწერია აკაკიზე: მაგ. მე-11 გვერდზე ვკითხულობთ: „წერილის ავტორია პერსონალური პენსიონერი..." და სხვ.

საერთოდ ანოტირებული ბიბლიოგრაფიის გამოცემა ა. წერეთლის შესახებ სასარგებლო საქმეა.

ი. დ.

გიორგი სააკაძე

დასასრული

რაბ, ყეენი ეჭვს აიღებდა, როდესაც მძევლებზე დავიწყებდით ლაპარაკს. განა არ იცი, რამდენი ჰაფშაგი და მსტოვარი ჰყავს აბასს ყველგან მოფენილი? მაშინ არ ითქმოდა და არ გითხარ, ახლა შეიძლება და პირდაპირ გიცხადებ: უნდა აღმართო მახვილი!

სარიდან — უნდა სასწრაფოდ ვაცნობო ყეენს ეგ ამბავი!

ზურაბ — ვერა, გიორგი, ვერ ჩავდგები ჩემი ანას ცოდვაში, რა წამს ჩემს ღალატს გაიგებს ირანის მბრძანებელი, საწყალ ქალს თავს ტანიდან განაშორებს!

სააკაძე — გრცხვენოდეს ზურაბ, ერთი ადამიანის სიყვარულს გინდა ანაცვლო ნაამაგდარი სამშობლო ქვეყანა! განა ჩემი იმედი, ჩემი სიყრმის მზე, ჩემი პაატა ნაკლებ მიყვარს და ნაკლებ მიღირს? მაგრამ, ხომ ხედავ, ქვეყნისათვის დამითმია! პირდაღებულ აფთარს ხახაში მივეცი ჩასაყლაპად. მე ჩემი შვილი, ჩემი ჯიგარი გავიმეტე. შენ შენი ცოლი უნდა დასთმო... ქვეყანა დიდია, ჩემო ზურაბ, ანა და პაატა ქვეყანას ვერ შობენ, ქვეყანა კი ბევრ მათ სანაცვლოს გაამრავლებს.

ზურაბი — ნუ, გიორგი, ეგრე ნუ მირჩევ! განა არ ხედავ, ყეენის წყალობით, როგორ ყელამდე ავვსებულვარ?

სააკაძე — როგორ? განა შენს ქვეყანაზე მეტად გიღირს ეს წარჩინების ნიშნები? ამაზე სცვლი შენს სამშობლო ქვეყანას! მერე რა არის ამ ნიშნებზე გამოხატული? (მკერდიდან მოაგლეჯს) აპა, დახედე: ირანის ლომი, ბასრით ხელში, შენი სამშობლოს დამქცეველი... გრცხვენოდეს ზურაბ! ხალხის საცოდაობას ხედავ და ღონისძიებას არ ხმარობ, შენი ქვეყნის დაღუპვის ჟამმა დაჰკრა და ფარ-ხმალს არ იღებ! ნუ თუ არ გესმის დედებისა და ცოლების ტირილი, გაწირულთა ვაებას ძახილი, ქართლ-კახეთის გოდება? ფუ, მაგ ვაჟკაცობას! ამიერიდან შენც შეგარცხვინოს ღმერთმა და შენი ხმალიც!

ზურაბ — შესდექ, გიორგი! ნუ მიჩქარი ხმალს და ვაჟკაცობას, შენ თვითონ იცი, თუ რა კვეთა აქვს ჩემს ბასრ მახვილს!

სააკაძე — დიახ, ვიცი და იმიტომ გთხოვე დახმარება... შენ კი ერთი დიაცის გულისათვის ქვეყანას ღალატობ! დამიჯერე, ზურაბ, საქმე არც ისე ცუდად მაქვს დაწყებული! გუშინ კათალიკოს და წილკნელ მირმინოზს გავენდევი... ჯარი საიდუმლოდ მზადდება. მალე მეფე თეიმურაზიც აქ მეყოლება... შენ ცოლს ნუ დარდობ, მე შენ თვით მეფე თეიმურაზს დაგასიძებ, იმის ქალს შეგრთავ, დარეჯანს, ცოლად!

ზურაბ — დარეჯანს?! თეიმურაზ მეფის ქალიშვილს?!

სააკაძე — დიახ, ქართლ-კახეთის მეფის სიძე გახდები.

ზურაბ — ოო, ღმერთო სახიერო! ო, სულო წაწყმედილო! თანახმა ვარ, გიორგი, ცოლიც და თავიც შემიწირავს სამშობლოსათვის!

სააკაძე — ეგრე ზურაბ, რაკი ხმალს იღებ, გასწი შენს საყმოში და საჩქაროდ შეკრიბე არაგველები... ფრთხილად იყავ, არავისთან არაფერი წამოგცდეს! ხომ იცი, საიდუმლო საქმეში კედლებსაც ყურები ასხიათ, აბა, გასწი და გადმოაფრინე მთიდან არწივები! (ზურაბი მიდის) შენ კი, სარიდან...

სარიდან — ბრძანე მოურავო!

სააკაძე — უნდა გაფრინდე ირანში შურდულივით...

სარიდან — დიახ, ბატონო, ოღონდ მიბრძანე, ყეენს რა უნდა მოვახსენო?

სააკაძე — ყოვლის უწინარეს ჩემი სალამი გადაეცი. შემდეგ მიულოცე ქართლ-კახეთის აყრა და აოხრება... რომ ჩემს მრისხანებას საზღვარი არა აქვს... რომ მალე ყველა ქართველს მოურავი ცხვრის ფარასავით ირანში მოგირეკს-თქო. ხომ გაიგე?

სარიდან — გავიგე, ბატონო, ეხლავ, გავფრინდები.

(სარიდანი მიდის. შემოვა პაპუნა)

სააკაძე — რა ისმის, პაპუნა?

პაპუნა — მოდიან, გიორგი, ზაზა ციციშვილის რაზმები მოდიან დანიშნულ პაემანზე. (მოისმის შორეული სიმღერა).

სააკაძე — ოჰ, ღმერთო ჩემო, ო, ამ ნეტარ ხმებს სანუგეშოს!.. ხედავ, პაპუნა, გული ამიჩუყდა... აღარ, აღარ დაიღუპება საქართველო!... (ახლოვდება სიმღერა. პატარა ხნის შემდეგ სცენაზე შემოიჭრებიან რაზმელები ზაზა, ხოსიტა, ელია) ო, ჩემო ზაზა, ჩემო ერთგულო შევარდენო!

ზაზა — ძმებო, ბიჭებო, ჩვენს დიდ მოურავს გაუმარჯოს! საქართველოს ძალასა და იმედს გაუმარჯოს!

რაზმელები — (შესძახებენ) გაუმარჯოს, მოურავს გაუმარჯოს! ხალხის პატრონს და მამას გაუმარჯოს! (დიდხანს გუგუნებს შეძახილი. სააკაძე ხალხს აწყნარებს).

სააკაძე — ხალხის ნება და ერის ხმა ღვთის ხმად მოისმის, ჩემო ძმებო, ამიტომ პირდაპირ საქმეზე, გადავდივარ... თოკის ორი წვერი მოვიცია თქვენთვის, ქართველებო: მტრისაგან ჩვენი თელვის და მამულის გამოხსნის ორი წვერი: რომელს აირჩევთ ამ ორში, ვაჟკაცებო?

ხმები — მამულისათვის თავდადებას!

— ბრძოლას, სიკვდილს და თავგანწირვას.

— ყეენს რისხვა და დარდუბალა!

სააკაძე — ეგრეც იქნება, ჩემო ძმებო: რაკი ხმალი ავიღე, იგი უსისხლოდ აღარ ჩაიგება... ხმალი ჩემი დედ-მამაა ჩემი, მკლავი ჩემი, სიმტკიცეა ჩემი. თქვენთან, ძმებო, თქვენთან შეურყეველი კავშირი საბოლოო გამარჯვებაა ჩვენი...

ხოსიტა — შენი სიტყვების ჭირიმე, შენი, მოურავო!

სააკაძე — მოდით, ძმებო, მოდით მივიღოთ წმინდა ზიარება! არავინ შეშინდეთ... აი, ხვალ, დაჰკრავს რიჟრაჟი. შემოფანტავს ქარი ნისლს მთაზე და ივერიის მრავალტანჯულ კრიალა ცაზე მზე დიდებული გაიელვებს... დიაღ, საოცრად გაიელვებს... შემდეგ კი ეგ მზე აღარ უნდა ჩავიდეს არასოდეს!

(ისმის ზარების რეკა. მონასტრიდან გამოიტანენ დროშებს. რაზმელები მღერიან).

საზღვარგარეთ

ერთი გამომცემლობის ისტორია

ყოველი გამომცემლობა ამერიკაში, ისევე, როგორ ყოველ სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოში, უპირველეს ყოვლისა კომერციული საწარმოოა. მსხვილი, სოლიდური, თავისი თავის დამფასებელი საგამომცემლო ფირმაც თვალსაჩინო მხატვრულ ნაწარმოებებთან ერთად დაბალი ხარისხის მაკულატურასაც სცემს. წიგნი ამნაირ გამომცემლობისათვის „ბიზნესია": კომერციული გამორჩენა ერთად-ერთი სტიმულია სარედაქციო პრაქტიკისა. მაგრამ ამერიკის საგამომცემლო საქმის ისტორიამ იცის არა ერთი მაგალითი იმისა, როცა რომელიმე ენტუზიასტის მიერ დაარსებული ფირმა მიდიოდა მდინარების წინააღმდეგ, აყენებდა ლოზუნგს „ლიტერატურა და არა კომერცია". ასეთი ფირმა წინასწარ აცხადებდა, რომ იგი გამოსცემს მხოლოდ მაღალხარისხოვან ნაწარმოებებს, თავს არ შეირცხვენს ბულვარული ლიტერატურის გამოცემით. ასეთი ცდები ყოველთვის მთავრდებოდა შემდეგნაირად: გამომცემლობა კოტრდება, ან იძულებული იყო დახმარებისათვის მიემართა რომელიმე მეცენატისათვის. ან, ბოლოს, გადაქცეულიყო ჩვეულებრივ კომერციულ საწარმოდ.

ამას წინად ამერიკაში გამოვიდა სიდნეი კრემერის პატარა წიგნი „სტოუნ და კიმბელის ფირმის ისტორია". ამ წიგნში მოთხრობილია ერთი ასეთი გამომცემლობის ბედის შესახებ, რომელიც, მიუხედავად კაპიტალისტურ ქვეყნებში გავრცელებული წესისა, გმირულად იბრძოდა კარგი წიგნისათვის. „სტოუნ და კიმბოლის ფირმა" დაარსდა 1890 წელს. იგი დააარსა ჰორვარდის ორმა სტუდენტმა, რომელთაც ამ საქმისათვის რამდენიმე ასი დოლარიც-კი არ მოეპოვებოდათ. პირველი წიგნი „ამერიკული რევოლუციის ეპოქის გამოცემათა ბიბლიოგრაფია" გამოცემულ იქნა ნისიად და გაავრცელეს ხელისმოწერით სტუდენტთა შორის კარგად გამოცემული და სასარგებლო წიგნის წარმატებამ აღაფრთოვანა ახალგაზრდა გამომცემლები.

მათ გადასწყვიტეს განეგრძოთ საქმე შემდეგი ლოზუნგით: „ნამდვილი წიგნი ნამდვილ მკითხველს". ჰერბერტ სტოუნმა, რომელსაც აღმოაჩნდა მხატვრობის დიდი ნიჭი, თვითონ დაიწყო წიგნების გაფორმება, გამომცემლებმა წერილები გაუგზავნეს ამერიკისა და ინგლისის მთელ რიგ მწერლებს, მათ შორის კიპლინგს, სტივენსონს, მიტს, გრლენდს და სხვებს. მწერლებმა სიამოვნებით გადასცეს ხელნაწერები გამომცემლებს. სტოუნისა და კიმბოლის მიერ გამოცემული წიგნების სერიამ ლიტერატურულ წრეებში სენსაცია გამოიწვია. ეს წიგნები პოლიგრაფიული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენდნენ: მათს გაფორმებაში, სურათებში, გვერდების დაკაბადონებაში ბევრი რამ ახალი და ორიგინალური იყო.

ფირმამ დაახლოებით ათი წელი იარსება. მისი გამოცემები დიდის წარმატებით ვრცელდებოდნენ, მაგრამ მოგება ძალზე მცირე რჩებოდა: შემოსავალი ძლივს უსწორდებოდა გასავალს. კიმბოლმა მალე მიატოვა ეს საქმე და ბრძოლა „ნამდვილი წიგნისათვის" განაგრძო მარტო სტოუნმა, მაგრამ მანაც ვერ გაუძლო მსხვილი კომერციული ფირმების კონკურენციას საქმე თანდათან მცირდებოდა და ბოლოს ეს ფირმა შეისყიდა ფოქსის და და დეფლინდის საგამომცემლო ფირმამ. „ნამდვილი წიგნი" დასრულდა. მან ადგილი დაუთმო ბულვარულ რომანებს.

— მე ჩავიდინე უხეში შეცდომა, — გულისტკივილით სწერდა სტოუნი თავის მეგობარს გამომცემლობის დახურვის შესახებ, — ბაზრის მოვაჭრეების ქვეყანაში ენტუზიასტი და სულელი ერთი და იგივეაო.

წიგნის ავტორის თქმით, სტოუნ და კიმბოლის ფირმის გამოცემები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად გადაიქცნენ.

ახალი შრომა კიპლინგზე

ახლანდელ სამხედრო დროის ინგლისური პრესისათვის ფრიად დამახასიათებელია ინტერესის ზრდა კიპლინგისადმი, როგორც იმპერიალისტური ინგლისის სულის გამომხატველისადმი. უკვე ყველას დაავიწყდათ, რომ ამ ცოტახნის წინად თავს ესხმოდნენ ამავე კიპლინგს. ახლა მას აქებენ და ადიდებენ. ამ განწყობილებას გამოხატავს, ალბათ ამას წინად მაკმილანის გამომცემლობის მიერ გამოცემული მ. შანკსის წიგნი, რომლის მიზანია „კიპლინგის რეაბილიტაცია". ამ წიგნის გამო „ნიუს ქრონიკლში" დაბეჭდილია ლიტერატურული მიმომხილველის რობერტ ლინდის წერილი, რომელშიაც იგი შანკსის ეკამათება. იგი სწერს: „კიპლინგში მოთავსებული იყო ბევრი ისეთი რამ, რაც აიძულებდა ადამიანებს მტრულად ეცქირათ მისთვის: ეშმაკობა, შემოზღუდულობა, იმპერიალისტისათვის დამახასიათებელი ტრაბახი და ყოყოჩობა. აღვნიშნავთ რა ამას, ამავე დროს არ შეიძლება არ ვაღიაროთ კიპლინგის ნიჭი. იგი მართლაც და პირველხარისხოვანი მხატვარი იყო. კიპლინგის სახელი მუდამ იცოცხლებს ლიტერატურაში, მაგრამ პოლიტიკოს კიპლინგს არავინ გაიხსენებს".

„კიპლინგი, — ამბობს შემდეგ ლინდი, — წინააღმდეგობათა შემცველი ადამიანია. იგი ანარქისტი იყო და ამავე დროს კანონისა და წესრიგის მომხრე იყო. ყველა მისი საყვარელი გმირი კანონის დამრღვევია, მაგრამ იმავე დროს ყველა ისინი კანონს თაყვანს სცემენ. კიპლინგი იყო ცინიკოსი და მისტიკოსი. მას უყვარდა ირლანდიელები. ეს სრულიადაც ხელს არ უშლიდა გაშმაგებულად ედევნა ისინი. იგი აღმერთებდა ინგლისს".

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული. გ. ლეონიძე. გ. ნატროშვილი,
შ. რადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახლი) ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი" თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 8837